
ზღვის დაცული ტერიტორიები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში: აღმოჩნდა თუ არა ევროპული კავშირი დილემის წინაშე?

ფლორინან ჰ.თ.პეპელაინი*

რეზიუმე

ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივა წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს დაცული ტერიტორიების გამოყოფას. თუმცა საერთაშორისო სამართლის, კერძოდ გაერო-ს 1982 წლის საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის საფუძველზე, ასეთი ტერიტორიების განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში შექმნის შემთხვევაში, ისინი წინააღმდეგობაში აღმოჩნდებიან ევროპული გაერთიანების თევზჭერის კომპეტენციასთან. დაცული ტერიტორიები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში მეტად პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ეხება მესამე მხარეების უფლებებს უპირატესად თევზჭერასა და ნაოსნობასთან მიმართებით. შესაბამისად ჩნდება კითხვები: ითვალისწინებს თუ არა საერთაშორისო სამართალი ზღვის დაცული ტერიტორიების განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში შექმნის შესაძლებლობას ან თუნდაც ვალდებულებას? გამოიყენება თუ არა ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების მიმართ? შეესაბამება თუ არა გაერთიანების თევზჭერის პოლიტიკური სტრატეგიის მიზნები და საშუალებები ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივის ამოცანებს? და რა სახის პროცედურით არის შესაძლებელი კონფლიქტის დარეგულირება?

1. შესავალი

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი სასამართლოს დედოფლის ტახტის განყოფილებამ 1999 წლის 5 ნოემბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივა¹ მოქმედებს 12 საზღვაო მილის სიღრმის ტერიტორიული ზღვის მიღმა მდებარე წყლებში². ეს მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო როგორც საერთაშორისო, ისე ევროპული სამართლისთვის: საერთაშორისო სამართლის კონტექსტში იმდენად, რამდენადაც ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივა შეიძლება აღმოჩნდეს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების შორსმიმავალი საშუალება, ხოლო ევროპული სამართლის კონტექსტში, იგი კიდევ ერთ შტრის მატებს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობასა და გაერთიანების სამართალს შორის განსხვავებას. რეალურად, დირექტივა წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ზღვებში დაცული ტერიტორიების განსაზღვრის ვალდებულებას. თუმცა, მისმა შემოთავაზებული სახით გამოყენებამ წევრი სახელმწიფოები შეიძლება გაერთიანების თევზჭერის პოლიტიკას დაუპირისპიროს: ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-40 მუხლის თანახმად³

* LL.M (U. Washington), თსუ ევროპული სამართლის მაგისტრატურისა და საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი. ავტორი მადლობას უხდის ვალიზონის, საიონზს (ორივე ევროპული კომისიის თევზჭერის გენერალური დირექტორატის იურიდიული ჯგუფის წევრი) და ლაგონის (საზღვაო სამართლის ინსტიტუტი, ჰამბურგი).

¹ საბჭოს 1992 წლის 21 მაისის 92/43/EEC დირექტივა ბუნებრივი გავრცელების არეალის და გარეული ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების შესახებ, ოფიციალური ჟურნალი, 1992, L 206/7-50.

² იხ. *The Queen v The Secretary of State for Trade and Industry ex parte Greenpeace Ltd.*, *The Times*, 19 January 2000, CO/1336/99; ამ შემთხვევაში საკითხი მხოლოდ ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივის კონტინენტური შეღვის მიმართ გამოყენებადობას ეხებოდა, რასაც გაერთიანებული სამეფო განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად არ მიიჩნევდა.

³ ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება ამსტერდამში განხორციელებულ გადასინჯვამდე.

სტატისტიკა

გაერთიანებას განსაკუთრებული უფლებამოსილება გააჩნია თევზჭერის სფეროში, ხოლო თევზჭერის ერთიანი პოლიტიკა მოქმედებს 12 და 200 მილიან საზღვრებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. იმდენად, რამდენადაც ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივის თანახმად ბუნებრივი გავრცელების ტერიტორიების განსაზღვრა საჭიროებს თევზჭერის ზოგიერთი მეთოდის, აგრეთვე მართვის და კონსერვაციის სხვა მეთოდების აღკვეთას, წვერი სახელმწიფოს წინაშე დგება კომპეტენციათა კონფლიქტის პრობლემა: იგი ან გაერთიანების დამკვიდრებულ უფლებამოსილებას ლახავს, ან არღვევს დირექტივის თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს.

წინამდებარე ნაშრომი ორ მიზანს ემსახურება. პირველი, იგი ეცდება წარმოაჩინოს ის საერთაშორისო-რისო სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც განაპირობებს კონფლიქტის წარმოშობას. ვინაიდან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა (გეზ) საერთაშორისო სამართლის ცნებაა, სწორედ საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს წვერი სახელმწიფოების და გაერთიანებების უფლებამოსილებას ამ ტერიტორიებში. მეორე, აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით იგი იკვლევს ევროპულ და ეროვნულ დონეზე წამოჭრილი კონფლიქტების სხვადასხვა ასპექტს და მიზნად ისახავს კონფლიქტის დარეგულირების გზების წარმოჩენას, კერძოდ თევზჭერის ერთიანი პოლიტიკის შესახებ 2001 წელს მიღებული მწვანე წიგნის ჩრდილში.⁴

2. წყლის სამყარო და დაცული ტერიტორია

წყალს დედამიწის ზედაპირის 71% უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შეფასებული, ოკეანეები და მათი რთული ურთიერთდამოკიდებულება ხმელეთთან კვლავაც განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს. წყალი იძლევა საკვები რესურსების უზარმაზარ, თუმცა ამონურვად რაოდენობას, წარმოადგენს საარსებო წყაროს ზღვისპირა მაცხოვრებლებისთვის, სატრანსპორტო მარშრუტებსა და სავაჭრო კავშირებს, და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას დასვენებაზე; და ყოველივე ამას ეკოლოგიური განადგურება ემუქრება. ამ ცოტახნის წინ 19 საზღვაო ბიოლოგმა გამოაქვეყნა საერთაშორისო დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგები მსოფლიო ოკეანეებში გრძელვადიანი ცვლილებების შესახებ.⁵ ნაშრომში დღევანდელი მწვანე ეკოლოგიური მდგომარეობა ახსნილია ზედმეტად ინტენსიური თევზჭერით, ხოლო აღდგენის ამოსავალ წერტილად მიჩნეულია საზღვაო ნაკრძალების (ან დაცული ტერიტორიების) ფართო ქსელი მსოფლიოს მასშტაბით, სადაც აიკრძალება ყველანაირი თევზჭერა და რეწვა. 2001 წლის დასაწყისში დასრულებული კიდევ ერთი კვლევის თანახმად, რომელსაც ხელს აწერს ზღვის სამყაროს 150 სპეციალისტი, „საზღვაო ნაკრძალები იცავს როგორც ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ისე თევზის სარეწებს და შეუძლია დახმარება ზღვების აღდგენაში“.⁶ ორივე ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ მომავალში აკრძალული ან შეზღუდული დაშვების ტერიტორიების განსაზღვრა შეიძლება გარემოსდაცვითი პოლიტიკის მზარდი მნიშვნელობის იარაღი აღმოჩნდეს.

⁴ Green Paper on the Future of the Common Fisheries Policy, COM(2001) 135 final, 20.03.2001 URL: http://europa.eu.int/eur-lex/en/com/gpr/2001/com2001_0135en0.pdf; visited on 06 September 2002.

⁵ იხ. Jackson et al., 'Historical Overfishing and the Recent Collapse of Coastal Ecosystems' in 293 Science Magazine 629(636); შემაჯამებელი ანგარიშისთვის იხ., Cookson, 'In deep water', Financial Times from 27.07.2001, ასევე Joint Group of Experts on the Scientific Aspects of the Marine Environment Protection (GESAMP), A Sea of Troubles, 70(2001) Rep. Stud. 2f., სადაც ზღვის გარემოსთვის ყველაზე სერიოზულად შემდეგი საფრთხეები მიჩნეულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით:

- ბუნებრივი გავრცელების არელების განადგურება და შეცვლა;
- ზედმეტად ინტენსიური თევზჭერა და თევზჭერის ზეგავლენა გარემოზე;
- ნაგვისა და ქიმიკატების ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე;
- მზარდი ეუტროფიკაცია;
- ცვლილებები ჰიდროლოგიაში და ნალექების ოდენობის ზრდა.

⁶ იხ. იქვე Cookson.

სტატიები

ამ მოსაზრების მხარდასაჭერად აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიურად დაცული ტერიტორიები გარკვეულ დონეზე საუკეთესო საშუალებაა ალიარებული პროგრესირებადი დეგრადაციის პრობლემის გადასაჭრელად. მიღებულია, რომ სანყის ეტაპზე დახურულ ზონებს და დაცულ ტერიტორიებს შეუძლიათ უზრუნველყონ იმავე დონის დაცვა. ასევე, აღიარებულია, რომ თევზჭერასა და ნაოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობები ყველაზე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვასთან მიმართებით როგორც საერთაშორისო, ისე ევროპულ კონტექსტში.

3. საერთაშორისო სამართლის ნორმატიული ბაზა ევროპული პერსპექტივიდან

ნებისმიერი დაცული ტერიტორია უნდა შეესაბამებოდეს იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც იგი შეიქმნა. ზღვის დაცულ ტერიტორიებთან მიმართებით საქმეს ის ფაქტიართულებს, რომ მათ შეიძლება შელახონ სხვა სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული უფლებები. სახმელეთო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სხვა სახელმწიფოების უფლებებმა, მაგ. მშვიდობიანი გავლის ან ბუნებრივ რესურსებთან დაშვების უფლებამ, შეიძლება შეზღუდოს ესა თუ ის სახელმწიფო მისი (გარემოსდაცვითი) ამოცანების განხორციელებისას.⁷ ევროპული კავშირის კონტექსტში მდგომარეობა გართულებულია გაერთიანებასა და წევრ სახელმწიფოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნით. ამასთან, როგორც ევროპული კავშირი, ისე თითოეული წევრი სახელმწიფო საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ, რომლებმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა იქონიონ ნაკისრ ვალდებულებებზე ევროპულ კონტექსტში.

3.1. საერთაშორისო ხელშეკრულებები ევროპულ კავშირში

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 300 (7) მუხლის თანახმად, გაერთიანების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები სავალდებულოა გაერთიანების ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება წევრი სახელმწიფოებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება სავალდებულო, თუ გაერთიანება მოქმედებს მისთვის დამფუძნებელი ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მაგრამ, ამ მიმართებით სრული გარკვეულობა მაინც არ შეინიშნება. დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის არ არის განსაზღვრული, რეალურად გააჩნია თუ არა გაერთიანებას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება.⁸ აშკარაა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გაერთიანებას სუვერენული უფლებები მხოლოდ ზოგიერთ სფეროში მიანიჭეს, თუმცა მათი რაოდენობა საკმაოდ გაფართოებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. მხოლოდ ამ სფეროებში აქვს გაერთიანებას წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლება.

⁷ თუ საერთაშორისო სამართალი აღიარებს სახელმწიფოს უფლებებსაც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობასთან მიმართებით, ზღვაზე სხვა სახელმწიფოთა უფლებები უფრო შორს მიდის, შედეგად, მაგ., ტერიტორიული ზღვის მშვიდობიანი გავლის უფლება არ ვრცელდება ხმელეთზე.

⁸ გაერთიანებასა და წევრ სახელმწიფოებს შორის კომპეტენციათა საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩრილში გამიჯვნის თვალსაზრისით *ჰესიონი* და *მაქრონი* განასხვავებენ ოთხ კატეგორიას. პირველ ორ კატეგორიას თავად გაერთიანების ან მისი წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებული უფლებამოსილებანი მიეკუთვნება. ეს ორი კატეგორია არც ისე ფართო, სწორხაზოვანი და პრობლემატურია: გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება ანიჭებს ან არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას. მესამე კატეგორიაში შედის გარკვეულ ტერიტორიებზე გარე კომპეტენციის გავრცელების შემთხვევები, სანამ გაერთიანება ამ ტერიტორიებთან მიმართებით განიხილავს შიდა კომპეტენციის საკითხს. მეოთხე კატეგორია მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც შესაბამისი კომპეტენციების გამიჯვნა არც ისე ადვილია, ვინაიდან ფუნქციები გარკვევით არ არის შეთანხმებული წევრ სახელმწიფოებსა და გაერთიანებას შორის. ბოლო ორ კატეგორიას ხშირად შერეული ან ერთობლივი კომპეტენციების სფეროდ მოიხსენიებენ. იხ. *Hession/Macroy, 'The Legal Framework of European Community Participation in International Environmental Agreements', 1994 New Europe Law Review 59 (83).*

სტატიკა

ევროპული გაერთიანების შიგნით კომპეტენციითა და ნაწილების შედეგად და იმ ფაქტის გამო, რომ შეუძლებელია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების კლასიფიკაცია რაიმე ზუსტი კრიტერიუმის შესაბამისად, გაერთიანების მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ხშირად შერეული ხასიათის ხელშეკრულებებს წარმოადგენს, სადაც ერთმანეთშია არეული წევრი სახელმწიფოების და გაერთიანების კომპეტენციები.⁹ შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებების უმეტესობას – ყოველ შემთხვევაში იმათ მაინც, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება გარემოს დაცვის კონტექსტში – ერთდროულად აწერენ ხელს როგორც წევრი სახელმწიფოები, ისე ევროპული გაერთიანება.¹⁰

და ბოლოს, საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება წევრ სახელმწიფოებთან მიმართებით მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, თუ გაერთიანება მის შინაარსს მეორად კანონმდებლობად გარდაქმნის; ან წევრი სახელმწიფოები თავად არიან საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე მხარეები და შედეგად, იკისრეს იგივე ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის თანახმად. საბჭოს უბრალო გადანყვეტილებას საერთაშორისო კონვენციებთან შეერთების თაობაზე პრაქტიკაში არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია ევროგაერთიანების სამართლის პერსპექტივიდან.¹¹

3.2 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ

გაერო-ს 1982 წლის კონვენციას საზღვაო სამართლის შესახებ¹² ცენტრალური ადგილი ენიჭება ოკეანებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტებს შორის, ვინაიდან ფართოდ მოიცავს თითქმის ყველა საკითხს, რომელიც შეიძლება წამოიჭრას ზღვის გარემოსთან მიმართებით. კონვენცია ითვალისწინებს სამართლებრივ საფუძველს ოკეანებთან დაკავშირებული შემდგომი სამართლებრივი ინსტრუმენტებისთვის¹³ და მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ოკეანების კონსტიტუცია. მართალია, კონვენციის 311 (3) მუხლით გათვალისწინებულია ისეთი ხელშეკრულებების დადება, რომლებსაც ცვლილებები შეაქვთ კონვენციის დებულებებში და არჩევენ მათ მოქმედებას, საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად არის განსაზღვრული ამ დოკუმენტის შინაარსით. ამ კონვენციის მონაწილეები არიან როგორც ევროპული გაერთიანება, ისე მისი წევრი სახელმწიფოები¹⁴.

⁹ იხ. აგრეთვე, *Krämer, E.C. Environmental Law, 4th ed., 2000, 5.*

¹⁰ რეალურად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული გაერთიანება ევროპული კომისიის სახით ცდილობს შესაძლებლობის ფარგლებში ითანამშრომლოს წევრ სახელმწიფოებთან, რათა ევროპულ გაერთიანებას, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც იგი, როგორც ასეთი, არაა მონაწილე მხარე, ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ამრიგად, გაერო-ს კონტექსტში წევრი სახელმწიფოები და ევროპული კომისია ახდენენ თავიანთი პოზიციების კოორდინაციას ერთობლივი განცხადებებით გამოსვლის მიზნით; ასეთი კოორდინაციის მეშვეობით კომისიას შეუძლია არაოფიციალური ზეგავლენა მოახდინოს საბოლოო გადანყვეტილებაზე და რეალურად განსაზღვროს ევროპული გაერთიანების ერთიანი საგარეო პოლიტიკა.

¹¹ იხ. *Krämer, supra note 9, 5*; თუმცა, გარემოებებიდან გამომდინარე, საერთაშორისო საჯარო სამართლის პერსპექტივიდან საბჭოს გადანყვეტილება შეიძლება მიჩნეულ იქნეს შესაბამისი სახელმწიფოების მიერ *opinio juris* გამოხატულებად.

¹² გაერთიანებული ერების მესამე კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ მიღებულია 1982 წლის 10 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1994 წლის 16 ნოემბერს, 1833 U.N.T.S. 397, შემდგომში მოიხსენიება როგორც „კონვენცია“.

¹³ მაგალითად, შეიცვალა ადრე არსებული თევზჭერის რეგიონალური ორგანიზაციები მათი კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, იხ. *de Klemm, Fisheries Conservation and Management and the Conservation of Marine Biological Diversity, in: Hey (ed.), Developments in International Fisheries Law, 1999, 423 (434).*

¹⁴ დანიის გარდა; თუმცა, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 300 (7) მუხლის თანახმად, კონვენცია სავალდებულოა დანიისთვისაც იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი დებულებები არ წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს.

3.2.1 გეზ-ის იურისდიქცია კონსერვაციასა და შენარჩუნებასთან მიმართებით

წინამდებარე გამოკვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციის V თავი. იგი ამკვიდრებს გეზ-ის რეჟიმს, რომელიც ვრცელდება (12 საზღვაო მილის სიგანის) ტერიტორიული ზღვის მიღმა მდებარე 200 საზღვაო მილის სიგანის საზღვაო სარტყელზე. ამ ზონაში სანაპირო სახელმწიფოებს^{15,16} – გეზ-ის შექმნის მოთხოვნის შემთხვევაში – გააჩნიათ სუვერენული უფლებები ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებრივ რესურსებზე, აგრეთვე, სხვა საკითხებთან ერთად, იურისდიქცია გარემოს დაცვაზე.¹⁷

200 მილის სიგანის საზღვაო სარტყელი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობათა უდიდესი ნაწილის განხორციელების არეალს წარმოადგენს, როგორცაა თევზჭერა და გაზისა და ნავთობის ნაპირიდან მოშორებით მოპოვება. იმავდროულად, იგი წარმოადგენს გავრცელების ძირითად არეალს ფლორისა და ფაუნის მთელი რიგი წარმომადგენლებისთვის, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ეკოლოგიური თვალსაზრისით. მისი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, გეზ-ს რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებული გამოყენება აქვს. გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის წონასწორობა სწორედ ამ მრავალგვარი ურთიერთდაპირისპირებული გამოყენების მაგალითია. კონვენციის საფუძველზე ამ დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით ეკოლოგიურ პრობლემებში უნდა გამოიყოს ორი მომენტი: ცოცხალი ბუნებრივი რესურსების დაცვა და დაბინძურება.

ა) ცოცხალი ბუნებრივი რესურსები

კონვენცია ცოცხალ ბუნებრივ რესურსებს უმეტესწილად ადამიანის საკვების წყაროდ განიხილავს. „ცოცხალი ბუნებრივი რესურსები“ წყლის სამყაროს ერთ-ერთი ქვეკატეგორიაა, ვინაიდან იგი წყლის ცოცხალი გარემოს მხოლოდ იმ ერთ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მოხმარებაც ხდება.¹⁸ შესაბამისად, გადაჭარბებული ექსპლუატაცია ერთ-ერთი იმ საფრთხეთაგანია, რომელიც ზღვის გარემოს ემუქრება და რომელსაც კონვენცია ეხება. ამრიგად, ის რაც

¹⁵ *Brownlie, Principles of Public International Law*, 5th ed., 1998, 207; არც ერთი სანაპირო სახელმწიფო ავტომატურად არ ხდება ეკონომიკური ზონის მფლობელი, ამის შესახებ ცალსახად უნდა იქნეს გაცხადებული – ტერიტორიული ზღვის და კონტინენტური შელფისგან განსხვავებით, რომლებიც სახმელეთო ტერიტორიის უბრალო გაგრძელებად განიხილება.

¹⁶ ევროპული გაერთიანების ფარგლებში მხოლოდ გაერთიანებულ სამეფოს არ გამოუცხადებია გეზ-ი; ამის სანაცვლოდ გაერთიანებულმა სამეფომ გამოაცხადა თევზჭერის განსაკუთრებული ზონა. გეზ-ის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე თევზჭერის განსაკუთრებული ზონა. თევზჭერის განსაკუთრებული ზონა არ აწესრიგებს თევზჭერის გარდა სხვა რომელიმე საკითხს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იურისდიქცია შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ფარგლებში. თუ სანაპირო სახელმწიფო არ აპირებს მოითხოვოს საერთაშორისო სამართლით დაშვებული იურისდიქცია, იგი შეზღუდული რჩება. ამ მიმართებით გაკეთებული განცხადებები ფუძემდებლურად უნდა იქნეს მიჩნეული, ე.ი. სანაპირო სახელმწიფო მის მიერ გაკეთებულ განცხადებას ვერ გადააჭარბებს ოფიციალური დეკლარირების გარეშე. დანია არ წარმოადგენს კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, მაგრამ მან მაინც შეძლო გამოეცხადებინა გეზ-ი იმ საფუძველზე, რომ კონვენციის დებულებები გეზ-ის შესახებ მხოლოდ იმის ასახვას წარმოადგენს, რასაც სხვაგვარად, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს უწოდებენ.

¹⁷ 56 (1) (a) მუხლში ნათქვამია: „სუვერენული უფლება აწარმოოს ბუნების ყველა რესურსის, იქნება ეს ცოცხალის თუ არაცოცხალის, დაზვერვა, დამუშავება, შენარჩუნება და მართვა“, ხოლო 56 (1) (b) მუხლში კი – „კონვენციის შესაბამისი დებულებებით განსაზღვრული იურისდიქცია [...] iii) ზღვის გარემოს დაცვასა და შენარჩუნებაზე“.

¹⁸ შეადარეთ, *Owen, The Application of the Wild Birds Directive Beyond the Territorial Sea of European Community Member States*, 2001, *Journal of Environmental Law* 39 (50/51).

სტატიები

შემდგომში გეზ-ის უფრო ზოგად კონცეფციად გარდაიქმნა, თავიდან სანაპირო სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის თევზის სარეწების გამოყენების და შენარჩუნების მოძრაობის სახით დაიწყო.¹⁹ თევზჭერის განსაკუთრებული ზონების პირველი რეგიონალური ხელშეკრულებების ფორმულირება საკმაოდ ცალსახოვანია ამ მიმართებით.²⁰ ამის მსგავსად, ზღვის ფსკერის და ოკეანის ძირის ეროვნული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მშვიდობიანი მომხმარებლების კომიტეტის მიერ განხილული ოკეანის სივრცის შესახებ ხელშეკრულების პროექტებში ხაზგასმული იყო სანაპირო ზოლის მაცხოვრებლებისთვის ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური მნიშვნელობა.²¹

კონვენციამ იკისრა გადაჭარბებული ექსპლუატაციის საფრთხის დაბალანსება კონსერვაციის ვალდებულებით. ზოგადად „კონსერვაცია“ გამოყენებას ნიშნავს. კონვენციაში კი ეს ტერმინი გამოიყენება ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის კონტექსტში. კონსერვაცია გაგებულია, როგორც ცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენების წინაპირობა. იგი დაკავშირებულია ტერმინთან მაქსიმალურად მდგრადი მოსავალი და მსგავს კონცეფციებთან, რომლებიც ზოგადად სტაბილურ განვითარებასთან ასოცირდება; და რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი დაკავშირებულია სანაპირო სახელმწიფოების სუვერენულ უფლებებთან.

ბ) დაბინძურება

დაბინძურების განსაზღვრება მოცემულია 1(1)(4) მუხლში.²² კონვენციის პასუხები ამ საფრთხეზე მრავალფეროვანია და არც ისე გარკვევითაა ჩამოყალიბებული. ზოგიერთი გულისხმობს დაბინძურების აღკვეთას, შემცირებას და კონტროლს (მუხლი 194), ზიანის ან საფრთხის გადაუცემლობის მოვალეობას ან დაბინძურების ერთი ტიპის მეორედ გარდაქმნას (მუხლი 195). XII ნაწილში კი (მაგ., 192-194 მუხლები) მოცემულია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები, V ნაწილი განსაზღვრავს სამართლებრივ საფუძველს, რომლის ფარგლებშიც სანაპირო სახელმწიფოებს შეუძლიათ საკანონმდებლო ღონისძიებების განხორციელება გეზ-ში XII ნაწილით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: V ნაწილში მოცემულია ჩონჩხი, ხოლო XII ნაწილი წარმოადგენს მის ხორცშესხმას. ცოცხალი ბუნებრივი რესურსების კონტექსტში დაბინძურება გეზ-ში დაკავშირებულია იურისდიქციასთან.

¹⁹ იხ. Presidential Proclamation No. 2668, US Statutes at Large, vol. 59 (1945), 885; text reproduced in UN Legislative Series, Laws and Regulations on the Regime of the High Seas, vol. I (ST/LEG/SER.B/1) 112-113.

²⁰ იხ., მაგ., ჩილეს, ეკვადორის და პერუს მიერ წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის ზღვის რესურსების ექსპლუატაციის და შენარჩუნების საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ კონფერენციაზე მიღებული „სანტიაგოს დეკლარაცია“, 1952 წლის 18 აგვისტო, UN Legislative Series, Laws and Regulations on the Regime of the Territorial Sea (ST/LEG/SER.B/6), 723-724 „1. მთავრობებს ევალებათ უზრუნველყონ მათი მოსახლეობის დაშვება თევზის საჭირო რესურსებთან და მათი აღჭურვა მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელი საშუალებებით. 2. აქედან გამომდინარე, ყველა მთავრობის ვალაია უზრუნველყოს საკუთარი ბუნებრივი რესურსების დაცვა და შენარჩუნება, აგრეთვე მათი გამოყენების მონესრიგება სახელმწიფოსთვის ყველაზე ხელსაყრელი გზით. [...] ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მთავრობები, რომელთაც სურვილი აქვთ, დაიცვან და საკუთარი ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახადონ მათი სანაპიროების მიმდებარე ზღვაში არსებული ბუნებრივი რესურსები, აცხადებენ, რომ: [დაცულია დეკლარაცია 200 მილიანი სუვერენიტეტის/განსაკუთრებული იურისდიქციის ზოლის შესახებ]“.

²¹ იხ. UN Publ. by DOALOS: Conservation and Utilization of the Living Resources of the Exclusive Economic Zone, 13 ff.

²² „ადამიანის მიერ ნივთიერებების ან ენერჯის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შეტანა ზღვის გარემოში..., რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სავალალო შედეგები, როგორიცაა ზიანის მიყენება ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ან ზღვის სამყაროსთვის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, საზღვაო საქმიანობის შეფერხება თევზჭერის და ზღვის სხვა სახის კანონიერი გამოყენების ჩათვლით, გამოსაყენებლად ვარგისი ზღვის წყლის ხარისხის გაუარესება და ხედების დამახინჯება“.

56 (1)(b)(iii) ეხება იურისდიქციას გარემოს დაცვასა და შენარჩუნებასთან მიმართებით, როგორც ეს „გათვალისწინებულია ამ კონვენციით“. შესაბამისი დებულებები მოცემულია XII ნაწილის 192-194 მუხლებში „ზღვის სამყაროს დაცვა და შენარჩუნება“. 192-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას დაცვას და შენარჩუნების ზღვის სამყარო. ზოგადად, გარემოს დაცვა და შენარჩუნება შესაძლებელია თაღვანი ნორმატიული აქტების მეშვეობით, როგორცაა ემისიის ზოგადი ზღვრები. ეს მიდგომა მოცემულია გემებიდან დაბინძურების აღკვეთის, შეზღუდვის და კონტროლისადმი მიძღვნილ დებულებებში. ამის საპირისპიროდ, გარკვეული ტერიტორიების და მახასიათებლების დაცვა პირდაპირ და ინდივიდუალურად არის შესაძლებელი. ეს კი დაცული ტერიტორიების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს. მნიშვნელოვანია, რომ 192-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ექვემდებარება სხვა უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელსაც სახელმწიფოს ანიჭებს კონვენციის სხვა მუხლები.²³ 193-ე მუხლი განამტკიცებს 56-ე მუხლით განსაზღვრულ სუვერენულ უფლებებს და პირდაპირ უკავშირებს მათ 192-ე მუხლით დადგენილ მოვალეობას.²⁴ 194-ე მუხლში მოცემულია ის ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც არის შესაძლებელი დაცვის და შენარჩუნების უზრუნველყოფა. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტი ეხება იშვიათ და სუსტ ეკოსისტემებს და გავრცელების ბუნებრივ არელებს. მაგრამ 194 (5) მუხლში მოცემულია მხოლოდ მინიშნება ასეთი ღონისძიებების მიზნებზე. განსაზღვრული არ არის ამ მიზნების მიღწევის გზები. ამ მიმართებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაძლო საკანონმდებლო საქმიანობის ორ მიმართულებაზე: ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია, რაც აღიქმება სანაპირო სახელმწიფოების მიერ სტაბილურ ექსპლუატაციაში; ხოლო მეორეს – ზღვის სამყაროს შენარჩუნება ეკონომიკური მოთხოვნილებების, როგორც ასეთის, მოხსენიების გარეშე.²⁵

შენარჩუნება, ჩვეულებრივ, სტატუს-კვოს შენარჩუნებას აღნიშნავს კონვენციის იმ დებულებების კონტექსტში, რომელიც გარემოს დაცვას ეხება, ტერმინი შენარჩუნება ყოველთვის დაცვასთან ერთად გამოიყენება. თუ ეს უკანასკნელი მომავლის ელემენტს უსვამს ხაზს, ე.ი გარემოზე ყოველგვარი უარყოფითი ზეგავლენის პროაქტიური გზით აღკვეთას, შენარჩუნებაში უფრო სტაბილიზაციის ელემენტი ჭარბობს, ე.ი. არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება. კონვენციაში შენარჩუნება კონსერვაციისაგან იმით განსხვავდება, რომ კონსერვაცია სტაბილური მოსავლის მიღებას ემსახურება, მაშინ როდესაც შენარჩუნება გარემოს გარკვეულ (ბუნებრივ) მდგომარეობაში შენახვას ისახავს მიზნად.²⁶

ვინაიდან 194 (5) მუხლი არც რაიმე ღონისძიებას განსაზღვრავს და არც არანაირ გამონაკლისს არ უშვებს მათთან მიმართებით, XII ნაწილი ბევრს არაფერს იძლევა გეზ-ის ფარგლებში ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნის კანონიერების შესახებ. და მაინც, თუ დაცული ტერიტორია მხოლოდ და მხოლოდ გარემოს შენარჩუნების საშუალებად აღიქმება, 194-ე მუხლით გათვალისწინებულია სათანადო საფუძველი სანაპირო სახელმწიფოებისთვის, რათა მათ იკისრონ ასეთი ტერიტორიის შექმნის ვალდებულება, თუ სხვა დანარჩენ მომხმარებლებს იქ დაშვება უკანონოდ არ აღეკვეთებათ. პასუხი კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ მომხმარებლებს ტერიტორიაზე დაშვება შეეზღუდოთ, ან თუნდაც, აეკრძალოთ, შეიძლება გაიცეს მხოლოდ V ნაწილის საფუძველზე და იმის გაანალიზების მეშვეობით, თუ რას მოიცავს რეალურად კონვენციის V ნაწილით მინიჭებული იურისდიქცია.

²³ იხ. Nordquist/Rosenne/Yankov (ed.), *United Nations Convention on the Law of the Sea, 1982: A Commentary, Articles 192 to 278, Final Act, Annex VI, Volume IV, Dordrecht, 1991, 43.*

²⁴ იხ. *Nordquist et al.*, იქვე, 40, სადაც იმაზეა საუბარი, რომ სიტყვები „მოვალეობა“ და „ვალდებულება“ მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან 192-ე და შემდეგი მუხლების კონტექსტში.

²⁵ *Owen* (18-ე სქოლიო), 55 ff.

²⁶ იხ. ზოგადად, *Nordquist* (23-ე სქოლიო), 11.

3.2.2 ნაწილი V - განსხვავება სუვერენულ უფლებებსა და იურისდიქციას შორის

სიტყვა „სუვერენიტეტი“ ეხება ერებისა და სახელმწიფოების ხელისუფლების სხვადასხვა შტოს უფლებამოსილებას მათ სახმელეთო ტერიტორიასთან მიმართებით. იგი აღნიშნავს სახელმწიფოს, მისი მოსახლეობის ურთიერთობებისა და ფუნქციების, აგრეთვე მისი ტერიტორიის კონტროლის ფართო ძალაუფლებას. ძირითადი დოქტრინა ასახავს ჰპოვებს სამ შედეგში: (1) სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე და მუდმივ მოსახლეობაზე განხორციელებული იურისდიქცია; (2) სხვა სახელმწიფოების განსაკუთრებულ იურისდიქციაში ჩაურევლობის მოვალეობა; (3) საერთაშორისო სამართლის წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებების დამოკიდებულება.²⁷ სუვერენული იურისდიქციის უმნიშვნელოვანეს ასპექტს – სუვერენიტეტის წარმოებულს წარმოადგენს კონკურენტული იურისდიქციის აბსოლუტური გამორიცხვა: სუვერენიტეტის გაზიარება შეუძლებელია.²⁸ სუვერენიტეტის განხორციელება შეიძლება განხორციელდეს სუვერენის სახელით, მაგრამ მისი უფლებამოსილება ერთი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

სუვერენული უფლებები შეიძლება სუვერენიტეტის წარმოებულად განვიხილოთ.²⁹ სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორია და, შესაბამისად, მისი სუვერენიტეტი კონვენციის (და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის) თანახმად ვრცელდება 12 საზღვაო მილის სიგანის ზოლის ფარგლებში.³⁰ საერთაშორისო სამართლის თანახმად აღიარებულია, რომ სახელმწიფომ თავისი მოქალაქეების მიმართ სუვერენული იურისდიქცია შეიძლება განახორციელოს მის ფარგლებს გარეთ ჩადენილი ქმედებებისთვისაც.³¹ ასეთ შემთხვევაში ინდივიდის მოქალაქეობა წარმოადგენს კავშირს და სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფოს მიერ გარკვეული ქმედების მიმართ იურისდიქციის განხორციელებაზე. პირის სამართლებრივი დევნა სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ ისეთ „იურისდიქციულ კავშირს“ მოითხოვს, როგორცაა დამნაშავეის მოქალაქეობა ან კონვენციის 111-ე მუხლით განსაზღვრული „ცხელ კვალზე“ დევნა.³² წინააღმდეგ შემთხვევაში ინდივიდი არ

²⁷ *Brownlie* (15-ე სქოლიო), 289; ეს სამი პრინციპი შეიძლება შეივადმე გაიზარდოს, იხ. *Vitzthum*, in: *Vitzthum* (ed.), *Völkerrecht*, 2nd ed., 2001, 39-43.

²⁸ იხ. იქვე *Vitzthum*, 389 თუმცა, მაინც არსებობს რამოდენიმე გამონაკლისი ამ წესიდან, 387.

²⁹ შეადარეთ *Hafner*, *Die seerechtliche Verteilung von Nutzungsrechten*, 1987, 262 ff.

³⁰ სანაპირო სახელმწიფოს გააჩნია ბუნებრივი რესურსების დაზვერვის და გამოყენების სუვერენული უფლებები გეზ-ში და კონტინენტურ შეღვზე (56-ე და 77-ე მუხლები), რაც იწვევს სუვერენულ იურისდიქციას ამ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებშიც.

³¹ მაგრამ მაინც, სახელმწიფოს არ გააჩნია განსაკუთრებული იურისდიქციის მისი მოქალაქეების მიმართ გამოყენების უფლება ოფიციალური აქტების შემთხვევაშიც კი; თუ რომელიმე სახელმწიფო ცდილობს დასაჯოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, ამ უკანასკნელმა შეიძლება მოისურვოს დიპლომატიური არხებით ჩაერიოს აღნიშნული პირის დასაცავად, მაგრამ იმავდროულად მას არ გააჩნია არანაირი იურიდიული უფლება მოითხოვოს, რომ ეს განსაკუთრებული ფორუმი იყოს ასეთი სახის დევნისთვის. ამასთანავე, სახელმწიფოს არ შეუძლია განახორციელოს არანაირი ღონისძიება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეროვნული კანონმდებლობის აღსრულების მეშვეობით ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე; დაუშვებელია პიროვნების დაკავება, უწყების ჩაბარება, საპოლიციო გამოძიების დაწყება და დოკუმენტების წარდგენის შესახებ ბრძანების აღსრულება, იხ. *Brownlie* (14-ე სქოლიო), 310 და 303-8 იურისდიქციის პრინციპების შესახებ: ტერიტორიული, ეროვნული, დაცვის ან უსაფრთხოების და უნივერსალურობის პრინციპი.

³² ასეთ შემთხვევაში ტერიტორიული კავშირი მყარდება „როდესაც უცხოური გემი ან მისი რომელიმე ნავი იმყოფება მდევარი სახელმწიფოს შიდა წყლებში, არქიპელაგის წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში ან მიმდებარე ზონაში, ხოლო ტერიტორიული ზღვის ან მისი მიმდებარე ზონის ფარგლებს გარეთ მისი გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დევნა არ შეწყდება“; მიმდებარე ზონაში (მუხლი 33) სანაპირო სახელმწიფოს უფლება აქვს აღასრულოს მის სუვერენიტეტთან დაკავშირებული კანონები, როგორცაა, მაგ., „საბაჟო, ფისკალური, საემიგრაციო და სანიტარული კანონები და ნორმატიული აქტები“. სისხლის სამართალში მიღებულია მთელი რიგი სხვა ცნებებიც, რომლებიც სცილდება „ტერიტორიულ კავშირს“, მაგრამ ისინიც გარკვეულწილად ტერიტორიულ გაერთიანებას ემყარებიან. სანაპირო სახელმწიფოს ამ პრეროგატივით სარგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა.

სტატიკა

იმყოფება სანაპირო სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოიყენება დაცვის ან უსაფრთხოების და/ან უნივერსალურობის³³ პრინციპი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია მოქალაქეებს დააკისროს ისეთი ვალდებულება, რომელიც სცილდება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ წესებს. შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია თავის მოქალაქეებს მოსთხოვოს, დაემორჩილონ გარკვეულ ღონისძიებებს მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის ზღვის დაცული ტერიტორიების რეჟიმს. რაც შეეხება გარემოს დაცვის საკითხებს, ისევე როგორც თევზის სარეწების მართვასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ არის საკმარისი საშუალოზე მკაცრი წესების მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების მიმართ გამოყენება, ვინაიდან ინდივიდები, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული იურისდიქცია, ეცდებიან ისარგებლონ ამ შედარებით თავისუფლებით და შედეგად მოიპოვებენ ფარდობით უპირატესობას. ამ მიმართებით თევზჭერის პროცესების მართვისთვის³⁴ განსაკუთრებით მწვავე მომენტს წარმოადგენს „უკანონო, მოუნესრიგებელი და უნებართვო თევზჭერის“ პრობლემა, რაც გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიაზე, რომ არაფერი ვთქვათ ბუნებრივი რესურსების განადგურებაზე, ვინაიდან აღნიშნულ უკანონო „მეთევზეებს“ არანაირი საფუძველი არ გააჩნიათ იმისთვის, რომ დაემორჩილონ სხვა რომელიმე წესს. მხოლოდ ის გემები, რომლებიც არ ემორჩილებიან სანაპირო სახელმწიფოების სუვერენულ იურისდიქციას, იქნება ეს გემების ზომების თუ რეგისტრაციის თვალსაზრისით, ქმნიან გარკვეულ პრობლემებს გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან და მისი საერთაშორისო კონტექსტში განხორციელებასთან მიმართებით.

V ნაწილის საფუძველზე კონვენცია განსაზღვრავს სუვერენულ უფლებებს გარკვეულ საკითხებთან მიმართებით. მაგალითად, სუვერენულ უფლებებს – და შედეგად იურისდიქციას, როგორც სუვერენიტეტის ძირითად შემადგენელს – ბუნებრივ რესურსებზე და მათ გამოყენებაზე. აღნიშნული სუვერენული უფლებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს სუვერენიტეტის განხორციელების ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ გავრცელებად და სუვერენული იურისდიქციის მიმნიჭებლად იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან სანაპირო სახელმწიფოს მოქალაქენი. გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით³⁵ სანაპირო სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ ისეთი ზომები, რომელსაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ცოცხალი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების და მართვის მიზნით, მაგ.: არა-სარეწაო ზონა, რაც რეალურად თევზის დამცავ ტერიტორიას წარმოადგენს. კონვენციის მიერ სუვერენული უფლებების მიუნიჭებლობის შემთხვევაში გამოიყენება ტრადიციული წესები, ე.ი. ჩვეულებითი ან (სხვა) სახელშეკრულებო სამართალი.

იურისდიქცია გარკვეული საკითხის თაობაზე კანონმდებლობის შექმნის და აღსრულების უფლებამოსილებას წარმოადგენს.³⁶ V ნაწილი სანაპირო სახელმწიფოებს, *inter alia*, წყლის ეკოლოგიის დაცვის და შენარჩუნების იურისდიქციას ანიჭებს. გეზ-ში მოქმედი იურისდიქცია ტერიტორიული იურისდიქციის მსგავსია, მაგრამ არაიდენტური. იგი განსაკუთრებული ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც გეზ-ი წარმოადგენს სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებული კომპეტენციის განხორციელების ზონას.³⁷ იგი ფუნქციონალურია იმ მიმართებით, რომ შეზღუდული და კონვენციის მიერ მართვადია: სანაპირო სახელმწიფოს მხოლოდ ნაწილობრივი

³³ ე.ი. დანაშაული, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოში ისჯება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად; კონვენციის 99-109-ე მუხლებით გათვალისწინებულია ზოგიერთი ასეთი სახის დანაშაული.

³⁴ უკანონო, მოუნესრიგებელი და უნებართვო თევზჭერის საკითხებისადმი ბოლოდროინდელი მიდგომა მართვის პრობლემით დაინტერესების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. იხ. FAO Press Release 01/08 at http://www.fao.org/WAICENT/OIS/PRESS_NE/PRESSENG/2001/pren0108.htm; and Second Technical Consultation on Illegal, Unreported and Unregulated Fishing, 22-23 February 2001 Rome, Italy, <http://www.fao.org/fi/meetings/tc-iuu/tc-iuu01/>.

³⁵ იხ. *Hafner* (28-ე სქოლიო), 263.

³⁶ *Brownlie* (14-ე სქოლიო), 313; *Oxman*, Jurisdiction of States, in *Bernhardt* (ed.), Encyclopedia of Public International Law, III 1997, 55.

³⁷ იქვე *Oxman*, 57.

სტატიკა

იურისდიქცია გააჩნია მესამე სახელმწიფოებთან მიმართებით.³⁸ მაგრამ ეს ეხება როგორც სუვერენულ უფლებებს, ისე იურისდიქციას განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

თუ დავუშვებთ, რომ სხვადასხვა პირობის არსებობა სხვადასხვა სამართლებრივი კონცეფციის არსებობას მიუთითებს, გასარკვევია, თუ რითი განსხვავდება განსაკუთრებული იურისდიქცია სუვერენული უფლებებისგან. შესაძლო განმარტებას წარმოადგენს ის, რომ სანაპირო სახელმწიფო მისი განსაკუთრებული უფლებამოსილების გავრცელების ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო მსოფლიო საზოგადოებრიობის გზის გამკვლევი³⁹ ეკოლოგიის შემდეგ ასპექტებში: იურისდიქცია საკითხებთან მიმართებით, რომელიც უნივერსალური ხასიათისაა კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის თვალსაზრისით; სუვერენული უფლებები საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ცალკეული სახელმწიფოსათვის არის დამახასიათებელი. ეს განმარტება გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება, ვინაიდან კონვენციის დებულებები არ ითვალისწინებს მესამე მხარეებთან მიმართებით განხორციელებადი გარემოსდაცვითი ღონისძიებების ამომწურავ ნუსხას. ამასთან, გზამკვლევის კონცეფცია ყოველთვის როდი მოითხოვს სუვერენულ უფლებებისა და განსაკუთრებული უფლებამოსილების ერთმანეთისაგან განსხვავებას ისეთი სახით, როგორც ეს კონვენციაშია მოცემული, ვინაიდან ამ მიმართებით არსებობს სხვა ინსტრუმენტები, თუმცა, არც მათშია მოცემული იგივე განსხვავება.⁴⁰

სხვა განმარტებით, სუვერენული უფლებების ფარგლებში მოქცეული საკითხებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს არ შეუძლია მისაკუთროს გარემოს დაცვა და შენარჩუნება.⁴¹ გარემოს დაცვა კონცეფციაა, მაგრამ არა ხელშესახები ნივთი, ისე როგორც თევზი ან მინერალური საწვავი. ამის მსგავსად, ზღვის მეცნიერული კვლევა, რომელიც ასევე ექცევა განსაკუთრებული იურისდიქციის ქვეშ, წარმოადგენს გარკვეულ აღიარებულ პროცესს, რომლის გამოც სანაპირო სახელმწიფოები ზოგიერთი მეთოდის და საშუალებების გამოყენებას – რაც სხვა შემთხვევაში სრულიად მონესრიგებული იქნებოდა – საეჭვოდ მიიჩნევენ. ამ განმარტებაზე დაყრდნობით ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციული კომპეტენციები ერთი და იგივეა როგორც სუვერენული უფლებების, ისე განსაკუთრებული იურისდიქციის ფარგლებში; სხვადასხვა ტერმინები მხოლოდ საკითხის სხვადასხვა დატვირთვის ასახვის მიზნით გამოიყენება.

დაბოლოს, 77 (2) მუხლში⁴² შემოთავაზებულია შემდგომი განსხვავება: სუვერენული უფლებები განსაკუთრებულია იმ აზრით, რომ სანაპირო სახელმწიფოს მიერ საქმიანობის განხორციელებლობის შემთხვევაში არცერთ სხვა სახელმწიფოს არ შეუძლია საქმიანობის განხორციელება. ამის საპირისპიროდ, თუ მაგალითად, სანაპირო სახელმწიფოს გააჩნია განსაკუთრებული იურისდიქცია, გემის დროშის სახელმწიფო ფლობს დანარჩენ კომპეტენციას. მართლაც, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში გემის დროშის სახელმწიფოს და სანაპირო სახელმწიფოს ერთი და იგივე ზოგადი მოვალეობები გააჩნიათ გარემოს დაცვასთან მიმართებით. ზღვის მეცნიერულ კვლევასთან მიმართებითაც სახელმწიფოებს ევალებათ სხვა სახელმწიფოების უფლებების და მოვალეობების სათანადო პატივისცემა.⁴³ 56(1)(b) მუხლით მინიჭებულ იურისდიქციასთან დაკავშირებით ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ სანაპირო სახელმწიფოს იურის-

³⁸ *Vitzthum* (26-ე სქოლიო), 411.

³⁹ შეად. *von Zharen*, *Ocean Ecosystem Stewardship*, 23 *William & Mary Envtl. L. & Policy Review* 1(33).

⁴⁰ იქვე 33 ff.

⁴¹ იხ. *Hafner* (28-ე სქოლიო), 264 f.

⁴² 77-ე მუხლის ("კონტინენტურ შელფზე სანაპირო სახელმწიფოს უფლებები) შესაბამის ნაწილში შემდეგი რამ არის ნათქვამი:

2. [კონტინენტურ შელფზე] [სუვერენული] უფლებები განსაკუთრებულია იმ მიმართებით, რომ თუ სანაპირო სახელმწიფო არ ანარმოებს კონტინენტური შელფის დაზვერვას და მისი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციას, არავის არა აქვს უფლება განხორციელოს აღნიშნული საქმიანობა სანაპირო სახელმწიფოს აშკარად გამოხატული თანხმობის გარეშე.

⁴³ იხ. კონვენციის 238-ე მუხლი.

სტატიკა

დიქცია განსაკუთრებულია იმ დროს და იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო იყენებს თავის პრეროგატივას. სხვა სახელმწიფოებს არ გააჩნიათ შესაბამისი იურისდიქცია 56 (1) (b) მუხლში მოცემულ საკითხებთან მიმართებით.

თუ იურიდიული კომპეტენციის თვალსაზრისით იურისდიქციასა და სუვერენულ უფლებებს შორის არ არსებობს ძირეული განსხვავება, ჩნდება კითხვა, თუ რა ღონისძიებების გამოყენებაა შესაძლებელი სახელმწიფოს იურისდიქციის განხორციელებისას. გარკვეულ საკითხთან მიმართებით იგი მოიცავს სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებადი წესების განსაზღვრის და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებას,⁴⁴ ვინაიდან სწორედ აღსრულება წარმოადგენს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე აქტს. მოწესრიგების იურისდიქცია და აღსრულების იურისდიქცია ერთმანეთს შეესაბამება: ერთი ყოველთვის მეორის ფუნქციას წარმოადგენს.⁴⁵ სახელმეკრულებო სამართლის თანახმად (და ჩვეულებითი სამართლის, იმდენად რამდენადაც გეზ-ი აღიარებულია ჩვეულებით დონეზე) იურისდიქციის ფარგლები გაფართოებულია გეზ-ისათვის, რაც უნდა გამოიყენებოდეს გარკვეულ საქმიანობასთან მიმართებით სანქსის ხაზებიდან ათვლილი 200 საზღვაო მილის სიგანის წყლის ზოლის მიღმა. ამ შემთხვევაში პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ რას მოიცავს ზღვის ეკოლოგიის დაცვის და შენარჩუნების იურისდიქცია 12 და 200 მილიან საზღვრებს შორის.

XII ნაწილი დეტალურად არ განსაზღვრავს იურისდიქციის ფარგლებს. 194 (4) მუხლი მოიცავს მხოლოდ გაფართოებას „თავი შეიკავონ სხვა სახელმწიფოების მიერ საკუთარი უფლებების და ამ კონვენციის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან“. დაცული ტერიტორიის შექმნა გამართლებული ჩარევა იქნება, თუ შეუძლებელია მოცემული ტერიტორიის დაცვა სხვა საშუალებებით და თუ ტერიტორიის მახასიათებლებთან დაკავშირებული პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მესამე სახელმწიფოების უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული.

194 (3) მუხლი ითვალისწინებს მართვის მიზნების და ისეთი შესაბამისი ღონისძიებების არაამომწურავ ნუსხას, როგორცაა „წინასწარგამიზნული და უნებლიე ჩამარხვა“ და უბედური შემთხვევები, გადაუდებელი რეაგირება, გემების ან ნაგებობების „პროექტირების, მშენებლობის, აღჭურვის, ფუნქციონირების და ეკიპაჟით დაკომპლექტების“ მართვა. რაც შეეხება „პროექტირების, მშენებლობის, აღჭურვის, ფუნქციონირების და ეკიპაჟით დაკომპლექტების“ მართვას, ეს ერთგვარ წინააღმდეგობაშია 21 (2) მუხლთან, რომელიც ეხება სანაპირო სახელმწიფოების იმ კანონებსა და წესებს, რომელიც არეგულირებს მშვიდობიან გავლას. ეს დებულება კრძალავს კანონმდებლობის ამ მიმართებით გამოყენებას უცხო ქვეყნების გემების მიმართ, თუ ეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული წესებისა და სტანდარტებისგან არ გამომდინარეობს. მართალია, მშვიდობიანი გავლის რეჟიმი მხოლოდ ტერიტორიულ ზღვას ეხება, სანაპირო სახელმწიფომ შეიძლება მიითუმეტეს არ გამოიყენოს არანაირი დებულება ამ მიმართებით გეზ-ში, სადაც მისი იურისდიქცია კიდევ უფრო შეზღუდულია, რაც აშკარად ჩანს მე-200 მუხლიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები შეესაბამება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ წესებსა და სტანდარტებს და ეს კანონები და წესები ემსახურება გემებიდან დაბინძურების აღკვეთას, შემცირებას და კონტროლს, 21 (2) და შესაბამისად, 194 (3) მუხლები შეესაბამება 211 (1) მუხლს. შედეგად, ნებისმიერ სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს და აამოქმედოს შესაბამისი კანონმდებლობა.

207-ე და შემდგომი მუხლები ეხება ცალკეულ საერთაშორისო წესს და ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც აწესრიგებს დაბინძურების გარკვეულ ტიპებს. ამ თვალსაზრისით, ჩნდება კითხვები ამ მუხლების შინაარსის და იმის თაობაზე, თუ რამდენად ამომწურავია ისინი. დებულებები ეხება ისეთ საკითხებს, რომლებსაც იურიდიული ძალა სუვერენიტეტის ტრადიციული გაგების დროს აქვთ. ამის აშკარა დადასტურებაა 207-ე მუხლი, რომელიც ეხება დაბინძურების ხმელეთზე

⁴⁴ *Brownlie* (14-ე სქოლიო), 312.

⁴⁵ იქვე.

სტატიები

განთავსებულ წყაროებს, 208-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულობის პრინციპის გამოყენებას ზღვის ფსკერზე განხორციელებულ საქმიანობასთან მიმართებით, 210-ე და 211-ე მუხლები, რომლებიც 91-ე და 217-ე მუხლებზე, ე.ი. გემის დროშის სახელმწიფოს მოვალეობებზე დაყრდნობით განსაზღვრავს კანონმდებლობის საჭიროებას გემებიდან დაბინძურებასთან მიმართებით, აგრეთვე, 212-ე მუხლი, რომელიც ტერიტორიულ სუვერენიტეტს და გემის დროშის სახელმწიფოს პრინციპს ეხება. აღსრულებასთან დაკავშირებით კონვენცია 216 (1) (ა) და 220-ე მუხლებში ითვალისწინებს სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციას გეზ-ში. გემებიდან დაბინძურებასთან დაკავშირებული შეზღუდვები⁴⁶ მიუთითებს სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებზე იმ საკითხებთან მიმართებით, რომელიც ექცევა სხვა სახელმწიფოს სუვერენული იურისდიქციის ქვეშ: კონვენციის 73 (1) მუხლი ისეთი ღონისძიებების გამოყენების უფლებას, როგორცაა „შემონმება, ინსპექტირება, დაპატიმრება და სასამართლო საქმის წარმოება“, მხოლოდ მაშინ ანიჭებს სანაპირო სახელმწიფოს, თუ დაირღვა მისი სუვერენული უფლებები გეზ-ში. ამის საპირისპიროდ, სანაპირო სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს დამცავი ღონისძიებები აღნიშნული ღონისძიებების არქონის შემთხვევაში. დამცავი ზონის განმსაზღვრელი ღონისძიებების განხორციელება ყოველთვის როდი იწვევს სასამართლო საქმისწარმოებას ან გემის (და მისი ეკიპაჟის) დაპატიმრებას. ეს უკანასკნელი ძალის უშუალო გამოყენების ერთადერთი საშუალებაა. სანაპირო სახელმწიფოს მიერ დამცავი ზონის კანონიერად შექმნის შემთხვევაში მისი ფუნქციონირება შესაძლებელია ზღვაზე უშუალო კონტროლის ან პასიური ბარიერების შექმნის მეშვეობით.

განმარტება იმისა, თუ როგორ შეუძლიათ სანაპირო სახელმწიფოებს თავიანთი იურისდიქციის განხორციელება, რომელსაც მათ ანიჭებს V ნაწილი, ხოლო გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებით უფრო აკონკრეტებს XII თავი, 207-220-ე მუხლების შესაბამისად, საბოლოო არ არის. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კონვენციის 56 (1) (ბ) (iii) მუხლი და არა XII ნაწილის მეექვსე კარი, რომელიც ეხება აღსრულებას, ვინაიდან ამ ნაკვეთის დებულებებით გათვალისწინებულია განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გამოცხადების და შესაბამისი უფლებების და მოვალეობების მინიჭებისგან დამოუკიდებელი მოვალეობა. მაგალითად, 220 (5) მუხლში მოცემული მითითება აფართოებს აღსრულების ღონისძიებების მოქმედების სფეროს, თუ ასეთი ეკონომიკური ზონა არსებობს, მაგრამ 220-ე მუხლი არ მიიჩნევს ეკონომიკური ზონის არსებობას მისი სხვაგვარად გამოყენების წინაპირობად. ასევე, 194 (3) მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს შესაბამისი ღონისძიებების

⁴⁶ 220-ე მუხლი („აღსრულება“): განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში გემებიდან დაბინძურების აღკვეთის, შემცირების და გაკონტროლების მიზნით სანაპირო სახელმწიფომ შეიძლება აღძრას საქმე გემის დაკავების ჩათვლით

თუ გემი „ნებაყოფლობით იმყოფება [სანაპირო სახელმწიფოს] პორტში ან ოფშორულ ტერმინალზე ამ კონვენციის შესაბამისად მიღებული კანონების და წესების ან გამოყენებადი საერთაშორისო სამართლის დებულებების და ნორმების ნებისმიერი სახით დარღვევასთან დაკავშირებით...“ ან

თუ „არსებობს აშკარა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გემმა... ჩაიდინა... დარღვევა, რომელმაც გამოიწვია ჩამარხვა, რომლის შედეგადაც ზიანი მიაღწია სანაპირო ზოლს ან სანაპირო სახელმწიფოების შესაბამის ინტერესებს, ან მისი ტერიტორიული ზღვის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ნებისმიერ რესურსს ან შეიქმნა ზიანის მიყენების საშიშროება... იმ პირობით, რომ არსებობს ამის მტკიცებულება“;

„თუ არსებობს აშკარა საფუძველი იმისა, რომ გემმა... დაარღვია... გამოყენებადი საერთაშორისო წესები და ნორმები“ მან შეიძლება „...მოითხოვოს, რომ გემმა წარმოადგინოს საიდენტიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია რეგისტრაციის პორტის შესახებ, იმ პორტის შესახებ, სადაც იგი ბოლოს იყო შესული და იმ პორტის შესახებ, სადაც უნდა შემდეგ შევიდეს, აგრეთვე დარღვევის დასადგენად საჭირო ყველანაირი ინფორმაცია“; და

თუ გემმა უარი თქვა ინფორმაციის წარმოდგენაზე, ან თუ მიწოდებული ინფორმაცია აშკარად განსხვავდება რეალური სურათისგან, შეიძლება ჩაატაროს გემის ფიზიკური დათვალიერება თუ „არსებობს აშკარა საფუძველი იმისა, რომ გემმა... ჩაიდინა... დარღვევა, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ჩამარხვა, რასაც შედეგად მოჰყვა ზღვის სამყაროს სერიოზული დაბინძურება ან დაბინძურების საშიშროება“.

სტატია 20

გამოყენების ზოგად ვალდებულებას. 213-220-ე მუხლებში დეტალურად არის განხილული 194 (3) მუხლში მოცემული ღონისძიებების ჩამონათვალი და განსაზღვრულია შესაბამისი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლები. და მაინც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, 194 (3) მუხლში მოცემულია მხოლოდ ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ სახელმწიფოებს გარემოს დაცვის კონკრეტულ ფორმასთან მიმართებით. შესაბამისად, მე-5 და მე-6 ნაკვეთები შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ ღონისძიებების საილუსტრაციო დებულებებად, რომლის განხორციელებაც შეუძლია შესაბამისი სახელმწიფოებს, მაგრამ არა იმ შესაძლებლობების ჩამონათვალად, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოებს გააჩნიათ კონვენციის შესაბამისად გარემოსდაცვით იურისდიქციასთან მიმართებით.

3.2.3 გეზ-ი, სანაპირო და მესამე სახელმწიფოების უფლებები: თევზჭერა და ნაოსნობა

სხვა სახელმწიფოების უფლებები მოცემული განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სანაპირო სახელმწიფოების გარემოსდაცვითი იურისდიქციის ფარგლების განსაზღვრისას. ეს, ჩვეულებრივ, წარმოადგენს 58 (1) მუხლით გათვალისწინებულ ღია ზღვის თავისუფლებებს.⁴⁷

თევზჭერა, როგორც ღია ზღვის ერთ-ერთი თავისუფლება, შეზღუდულია V ნაწილით, რომელიც სუვერენულ უფლებებს ანიჭებს სანაპირო სახელმწიფოს ცოცხალ ბუნებრივ რესურსებთან მიმართებით. 61 (2) მუხლი სახელმწიფოს ანიჭებს უპირატეს უფლებას შენარჩუნების ღონისძიებების გამოყენებასთან მიმართებით. ღონისძიების განსაზღვრისას მან მხედველობაში უნდა მიიღოს რიგი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით უკავშირდება სხვა სახელმწიფოს შესაძლებლობას ისარგებლოს ცოცხალი ბუნებრივი რესურსებით. სხვა სახელმწიფოს დაშვების აღნიშნული უფლებები განხილულია, როგორც სანაპირო სახელმწიფოს სუვერენული უფლების მახასიათებელი.⁴⁸ და მაინც, თუ სანაპირო სახელმწიფოს ეს სურს, 61-ე მუხლი ითვალისწინებს ბუნდოვან ფორმულირებას სხვა სახელმწიფოების ეფექტიანი გამორიცხვისთვის. 62 (4) მუხლის თანახმად, სხვა სახელმწიფოების დაშვების შემთხვევაში სანაპირო სახელმწიფოებს შეუძლიათ სხვადასხვა გზით მოაწესრიგონ დაშვება. შესაძლო ღონისძიებებს შორის 62 (4) (C) მუხლი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს თევზის რენვისთვის სპეციალური ტერიტორიების განსაზღვრას. სპეციალური ტერიტორიების განსაზღვრის შესაძლებლობიდან გამომდინარეობს სანაპირო სახელმწიფოს უფლება აკრძალოს თევზჭერა გარკვეული ტერიტორიების ფარგლებში. ვინაიდან 62 (4) (C) მუხლი დადებითად არის განწყობილი თევზჭერისთვის სპეციალური ტერიტორიების გამოყოფის მიმართ, შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მიზეზით შეიძლება არ იქნეს დაშვებული თევზჭერა სხვა ტერიტორიაზე. ამრიგად, გარემოს დაცვის მიზნით დაცული ტერიტორიის შექმნისას სანაპირო სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს (სხვა სახელმწიფოების მოქალაქე) მეთევზეების დაშვება სხვადასხვა ტერიტორიაზე, რითაც ეფექტიანად აკრძალავს თევზის რენვას დაცული ტერიტორიის ფარგლებში. თევზჭერასთან მიმართებით კონვენციით დაშვებულია დამცავი ტერიტორიების შექმნაც.

ზოგიერთ ადგილას თევზჭერის შეზღუდვის შესაძლებლობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ნაოსნობისთვის, ვინაიდან თევზჭერის შეზღუდვა არ ლახავს ნაოსნობის თავისუფლებას: იგი არ წარმოადგენს ნაოსნობის შემადგენელ ნაწილს; ნაოსნობა არის თევზჭერის პეროგატივა, მაგრამ არა პირიქით. აქედან გამომდინარე ნაოსნობის შეზღუდვა ცალკე საკითხია. თუ გემების გადაადგილება,

⁴⁷ ეს ეფექტიანად გამორიცხავს ხელოვნური კუნძულების და სხვა ნაგებობების შექმნის თავისუფლებას, აგრეთვე, თევზჭერის და მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოების თავისუფლებას.

⁴⁸ იხ. *Hafner* (29-ე სქოლიო), 267 ff, 332 ff.

როგორც ასეთი, საფრთხეს უქმნის ზღვის ეკოლოგიას კონკრეტულ ტერიტორიაზე,⁴⁹ ჩნდება კითხვა, აძლევს თუ არა კონვენციის 56-ე მუხლი სანაპირო სახელმწიფოებს ისეთი ზონების შექმნის შესაძლებლობას, სადაც შეზღუდული ან საერთოდ აკრძალული იქნება გემების მიმოსვლა. გეზ-ში როგორც თევზჭერის, ისე ნაოსნობის თავისუფლება ორი კუთხით განიხილება: 87-ე მუხლი თავისუფლებას მხოლოდ „კონვენციით გათვალისწინებული პირობების და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების“ საფუძველზე ანიჭებს, ხოლო რაც შეეხება გეზ-ს, მასთან დაკავშირებით 58 (3) მუხლში აღნიშნულია: „სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ სანაპირო სახელმწიფოს უფლებები და მოვალეობები და დაცვან სანაპირო სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციის და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად მიღებული კანონები და წესები“. „კონვენციით გათვალისწინებული პირობები“ მოიცავს მითითებას სანაპირო სახელმწიფოს კანონებსა და წესებზე, რომელზეც საუბარია 58 (3) მუხლში. საერთაშორისო სამართლის სხვა წესები შეიძლება გულისხმობდეს ჩვეულებით და საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართლის ზოგად პრინციპებს. ეს კვალიფიკაცია მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ხდება სახელმწიფოების შემდგომი პრაქტიკის ანალიზი. 58 (3) მუხლი მიუთითებს XII ნაწილზე („კონვენციის დებულებები“) და სვამს კითხვას, თუ რომელ ვალდებულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა: გარემოს დაცვას, თუ შეუფერხებელი ნაოსნობის უზრუნველყოფას; ანუ შეუძლია თუ არა სახელმწიფოს კანონიერად გაატაროს უფრო მკაცრი დამცავი ღონისძიებები, ვინაიდან ტრადიციული კონცეფცია არასაკმარისი და უშედეგო აღმოჩნდა, თუ კვლავაც ერთგული უნდა დარჩეს ზღვაზე თავისუფლების პრინციპისა. ამასთან, 58-ე მუხლით ცალსახად არის გაცხადებული, რომ ღია ზღვების თავისუფლება მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თავად არ შეესაბამება V ნაწილს. ამრიგად, შესაბამისობის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არა VII ნაწილით უზრუნველყოფილი, ე.ი. არა კვალიფიცირებული (ან 87 (1) მუხლით უკვე კვალიფიცირებული) თავისუფლება, არამედ თავად V ნაწილი.⁵⁰ 55-75-ე მუხლების შინაარსი (რასაც ადასტურებს სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკა) განსაზღვრავს 87-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს. და ისევე, როგორც ირკვევა, ამ კითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმწიფოების შემდგომ პრაქტიკაზე.

ამასთან, 56 (2) მუხლი ცალსახად ავალდებულებს სანაპირო სახელმწიფოებს სათანადოდ გაითვალისწინონ სხვა სახელმწიფოების უფლებები და მოვალეობები. მაგრამ ამ სახელმწიფოებს ეკისრებათ XII ნაწილით გათვალისწინებული გარკვეული ვალდებულებები, კერძოდ, ზღვის გარემოს შენარჩუნება და დაცვა (მუხლი 192). ვინაიდან კონვენციის ხელმოწერის დღისთვის, ე.ი. 1982 წლისთვის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ზღვის გარემოსთვის საფრთხეს წარმოადგენდა ხმელეთიდან მომდინარე დაბინძურება და დაბინძურება გემებიდან,⁵¹ 56 (2) მუხლით გათვალისწინებული ნონასწორობა შეიძლება მიღწეული იქნეს მრეწველობის შესაბამისი დარგის გარკვეული სტანდარტების მეშვეობით მონესრიგების გზით. 207-220-ე მუხლები ამ

⁴⁹ ნაოსნობამ, როგორც ასეთმა, შეიძლება ზიანი მიაყენოს მგრძობიარე სახეობებს; მან შეიძლება, აგრეთვე, ხელი შეუწყოს ბუნებრივი გავრცელების არეალების შეცვლას და განადგურებას; მაგ., ოსპარ-მა ფსკერის გაღრმავება ნაოსნობის მიზნებისათვის ეკოლოგიური განადგურების ერთ-ერთ ფაქტორად აღიარა, იხ. აგრეთვე, *Ottesen et al., Shipping Threats and Protection of the Great Barrier Reef Marine Park-The Role of the Particularly Sensitive Sea Area Concept*, in *Gjerde/Freestone (eds.), Particularly Sensitive Sea Areas-An Important Environmental Concept at a Turning Point*, Special Issue 9, 1994, *Int. J. of Marine and Coastal Law* 507 f.

⁵⁰ იხ. *Booth, Law, Force and Diplomacy at Sea*, 1985, 12 ff, რომელიც გარკვეულ ნათელს ჰყენს საზღვაო სამართალში თავისუფლების პარადიგმას („თავისუფლება“ მეტად მოუხელთებელი მნიშვნელობის მქონე მიმზიდველი სიტყვაა) და სადაც ეფექტიანად არის განსაზღვრული, რომ ნაოსნობის თავისუფლება არც ისე მოუხელთებელი უპირობო უფლებაა, როგორადაც ხშირად ხატავენ მას – „ნაოსნობის თავისუფლება“ თავისთავად ისეთი იურიდიული ცნებაა, რომელიც შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს.

⁵¹ იხ. განმარტება კონვენციის 1 (1) (4) მუხლში.

სტატიები

მოსაზრების მტკიცებულება და შედეგია. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ისეთ დოკუმენტებში, როგორცაა MARPOL-ი და მისი ოქმები,⁵² სათანადო ყურადღება მიექცა ამ მუხლებში ჩადებულ კონცეფციებს და მიღებული იქნა შესაბამისი წესები და სტანდარტები.

თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც შეჭრა, როგორც ასეთი, „დაბინძურებას“ წარმოადგენს⁵³, კონვენცია და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დღეისთვის არსებული დოკუმენტები, საკმაოდ შეზღუდული გამოყენებისაა.⁵⁴ ისინი იმ მოსაზრებაზეა აგებული, რომ ზღვის გამოყენება, როგორც ასეთი, პრინციპში საზიანო არ არის გარემოსთვის და ამიტომაც მინიმალური სტანდარტების განსაზღვრა საკმარისია უარყოფითი ზეგავლენის გასაწინააღმდეგოდ. ამ მოსაზრების დადასტურებაა დაბინძურების შესახებ კონვენციის მე-11 მუხლში მოცემული განმარტება. მართალია, განმარტება საკმაოდ ფართოა, მაგრამ იგი ძირითადად ნივთიერებების შეტანაზეა ორიენტირებული. „ენერჯის შემოტანა“ არ მოიცავს გემების უზრალოდ ყოფნას ან გავლას. დაბინძურების ამ კონცეფციის დადებითი მხარეების მიუხედავად, იგი არც ისე ამომწურავი ხასიათისაა განსაკუთრებით დელიკატურ სფეროებთან მიმართებით. თავად კონვენცია არ იძლევა ამ მიმართებით უფლებებსა და ვალდებულებებს შორის კონფლიქტის დარეგულირების საფუძველს.

3.2.4 გეზ-ის დაცული ტერიტორიები, როგორც მესამე სახელმწიფოების უფლებების შეზღუდვა

211 (6) (a) მუხლით გათვალისწინებულია გეზ-ის ფარგლებში სპეციალური ტერიტორიის შექმნის პროცედურა, სადაც უფრო მკაცრი მარეგულირებელი წესები იქნება შემოღებული, ვიდრე გათვალისწინებულია კონვენციის რეჟიმით სხვა რომელიმე ტერიტორიისთვის.⁵⁵ შესაძლო წესები

⁵² საერთაშორისო კონვენცია გემებიდან დაბინძურების აღკვეთის შესახებ, მიღებულია 1973 წლის 2 ნოემბერს, ცვლილებები შეტანილია 1978 წლის ოქმით (MARPOL 73/78), ძალაში შევიდა 1983 წლის 2 ოქტომბერს, 12.I.L.M. 1319 და 17.I.L.M. 546 შესაბამისად.

⁵³ „დაბინძურება“ აღიქმება, როგორც გარეგანი, ე.ი. სისტემისთვის არადაზიანებადი ზეგავლენა, რომელსაც გარკვეული (პოტენციური) ზიანი მოაქვს ბუნებრივი სისტემის/ეკოსისტემისთვის. დაბინძურების განსაზღვრება გამომდინარეობს ეკოსისტემის განსაზღვრებიდან: ამ მიმართებით უცხო სახეობებმა შეიძლება გამოიწვიონ დაბინძურება, ვინაიდან მათ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ სისტემაზე. გემი შეიძლება დაბინძურების წყაროდ იქცეს იმ მიმართებით, რომ სისტემას შეიძლება არ აღმოაჩნდეს დაბინძურების თანდაყოლილი გამანეიტრალებელი საშუალება და შედეგად, თუნდაც დროებით, ამოვარდეს წონასწორობიდან.

⁵⁴ დღეისათვის არსებული მონაცემებით საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას არ მიუღია არც ერთი შეთანხმება „გემებისგან თავისუფალი ზონების“ შესახებ. 2001 წლის ბოლოსთვის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას უნდა მიეღო „განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიების იდენტიფიკაციის და დასახელების სახელმძღვანელო პრინციპები“. განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორია განისაზღვრება, როგორც „ტერიტორია, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მხრიდან მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღიარებული ეკოლოგიური, სოციალ-ეკონომიკური ან სამეცნიერო მიზეზების გამო და რომელიც შეიძლება მგრძობიარე აღმოჩნდეს საერთაშორისო სანაოსნო საქმიანობების მიმართ“. ხსენებული ეკოლოგიური კრიტერიუმები, ე.ი. ეკოსისტემის უნიკალურობა ან იშვიათობა, სახეობებისთვის გავრცელების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არეალები, წარმომადგენლობითი ხასიათი ეკოლოგიური პროცესებისთვის, სახეობათა ან ეკოსისტემების მრავალფეროვნება, ბიოლოგიური პროდუქტიულობა, ქვირითის დაყრის ან გამრავლების ადგილი, ბუნებრიობა ადამიანის ჩარევის არარსებობის გამო, დეგრადაციის მიმართ მგრძობიარეობა და ბიო-გეოგრაფიული მნიშვნელობა მნიშვნელოვანილად შეესაბამება გავრცელების არეალების შესახებ დირექტივასა და დაცული ტერიტორიის შექმნის მხარდამჭერ სხვა დოკუმენტებში მოცემულ კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, ნაოსნობის თავისუფლება ცი შეიძლება საბოლოო ჯამში შეიზღუდოს ზოგიერთ (დაცულ) ზონაში ეკოლოგიის შენარჩუნების მიზნით. იხ. *Gjerde/Freestone* (eds.), Introduction, (48-ე სქოლიო), 431 ff; and *Gjerde*, Protecting Particularly Sensitive Sea Areas from Shipping: A Review of IMO's New PSSA Guidelines, in Int. J. of Marine and Coastal Law 2002.

⁵⁵ იხ. *Spadi*, Navigation in Marine Protected Areas: National and International Law, 31 ODIL 285(296); „საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის თანხმობით სანაპირო სახელმწიფომ შეიძლება კანონიერად აკრძალოს ნაოსნობა გარკვეულ ზონებში...“; იხ. 211(6) მუხლის უფრო დეტალური ანალიზისთვის *Lagoni*, Die Errichtung von Schutzgebieten in der ausschließlichen Wirtschaftszone aus völkerrechtlicher Sicht, *Natur und Recht* 2002, 126-128.

სტატია 20

არ უნდა სცილდებოდეს „ისეთ საერთაშორისო წესებს და სტანდარტებს ან სანაოსნო პრაქტიკას, რომელიც აღნიშნულმა ორგანიზაციამ გამოყენებად მიიჩნია ამ ტერიტორიების მიმართ...“, თუ ორგანიზაცია არ აღიარებს მათ 211 (6) (C) მუხლის შესაბამისად. აღნიშნული დამატებითი კანონები და წესები შეიძლება ეხებოდეს „დაბინძურებას ან სანაოსნო პრაქტიკას“, და, შესაბამისად, არ შეიძლება აწესდეს „პროექტირების, მშენებლობის, ეკიპაჟით დაკომპლექტების ან აღჭურვილობის“ იმაზე მკაცრ სტანდარტებს, რაც მიღებულია საერთაშორისო დონეზე. სანაოსნო პრაქტიკაზე მითითება აუცილებლად როდი ნიშნავს იმას, რომ ნაოსნობა, როგორც ასეთი, შეიძლება დარეგულირებული იქნეს, ე.ი. თუ სად შეიძლება იცურონ გემებმა და სად არა. მონესრიგება შეიძლება მხოლოდ იმისა, თუ როგორ უნდა იცურონ გემებმა. გარდა ამისა, 211 (6) მუხლი ეხება დაბინძურების იმავე კონცეფციას, რასაც 211 (1) მუხლი, კერძოდ „გემებიდან დაბინძურების აღკვეთის, შემცირების ან კონტროლირების შესახებ კანონებს და წესებს“, რომელიც აღიარებს მხოლოდ გარკვეული ტიპის დაბინძურებას. მაგრამ 211 (6) მუხლი იძლევა მთელი რიგი საერთაშორისო წესების და სტანდარტების მთელი ჯაჭვის შექმნის შესაძლებლობას კონვენციის ფარგლებში, რაც საბოლოოდ საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო წესებსა და სტანდარტებამდე მიგვიყვანს, რომლებზეც მითითებულია 58 (3) მუხლში.⁵⁶ სავარაუდოა, რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონტექსტში დაბინძურების კონვენციისეული გაგება უფრო ფართოა; ამაზე მეტყველებს ამ ბოლო დროს აღიარებული განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიები.^{57, 58}

⁵⁶ დამცავი ტერიტორიებისთვის შესაძლოა კიდევ ერთი შესაძლებლობა წარმოჩინდეს 60 (5) მუხლის კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების ზონების შექმნის შესაძლებლობას გარკვეული ნაგებობის გარშემო. მაშინ როდესაც ასეთი უსაფრთხოების ზონის დანიშნულებას, უპირველეს ყოვლისა, ნაოსნობის და თავად ნაგებობის უსაფრთხოება წარმოადგენს, დასაშვებია, რომ მან შეიძლება იმავდროულად გარემოც დაიცვას, თუ ნაგებობა ეკოლოგიურ ნიშას წარმოადგენს.

⁵⁷ იხ. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტი ა. 927 (22), სახელმძღვანელო პრინციპები სპეციალური ზონების განსაზღვრისათვის MARPOL 73/78-ის შესაბამისად და სახელმძღვანელო პრინციპები განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიების დადგენის და განსაზღვრისათვის URL: http://www.imo.org/Environment/mainframe.asp?topic_id=305#A927, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის თანახმად „განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორია წარმოადგენს ისეთ ტერიტორიას, რომელიც აღიარებული ეკოლოგიური, სოციალ-ეკონომიკური ან სამეცნიერო მიზნებისათვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიების მეშვეობით და რომელსაც შეიძლება ზიანი მიადგინოს საერთაშორისო სანაოსნო პროცესებმა.“ სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია მითითებები საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიების განსაზღვრასთან დაკავშირებული განცხადებების ფორმულირებასა და წარდგენასთან მიმართებით. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც სანაპირო სახელმწიფოს, ისე გემის დროშის სახელმწიფოს, გარემოსდაცვითი და სანაოსნო ორგანიზაციების ინტერესები მოცემული ტერიტორიის შესახებ არსებული შესაბამისი სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინფორმაციის საფუძველზე; ისინი ასევე ითვალისწინებენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ ამ განცხადებების განხილვას. პირველ ორ განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიას წარმოადგენს დიდი ბარიერული რიფი, ავსტრალია (განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიად განსაზღვრულია 1990 წლის ნოემბერში) და საბანა-სამაგუის არქიპელაგი, კუბა (განსაკუთრებით მგრძობიარე საზღვაო ტერიტორიად განსაზღვრულია 1997 წლის სექტემბერში).

⁵⁸ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ეგიდით შემუშავებულია ნაოსნობის მთელი რიგი შესაძლო დებულებებისა, იხ. *Gjerde, International Legislation in Support of Implementing Natura 2000 in the Marine Environment* at the Workshop “Application of NATURA 2000 in the Marine Environment”, International Academy for Nature Conservation (INA) on the Isle of Vilm (Germany) from 27 June to 1 July 2001, 9 BfN-Skript 73 (76 ff), SOLAS-ს სპეციალური სამარშრუტო ღონისძიებების თანახმად, როგორცაა, მაგ., სატრანსპორტო ნაკადის განცალკევების სქემები, შეიძლება შემოღებული იქნეს რეკომენდირებული მარშრუტები, გზები ან ღრმა წყლების მარშრუტები შეჯახებების ან მეჩქეჩე მოხვედრის რისკის თავიდან აცილების ან გემების ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ტერიტორიებიდან გარკვეული მანძილით დაცილების მიზნით (SOLAS, ზოგადი დებულებები გემების მარშრუტების განსაზღვრის შესახებ, Res. A. 572(14)), გვერდის ასავლელი ტერიტორიები შეიძლება გამოყენებული იქნეს გემების ან გემების გარკვეული კატეგორიების ან ტვირთების წინასწარ და ზუსტად განსაზღვრული ზღვის ტერიტორიებიდან მოცილების მიზნით (SOLAS, ზოგადი დებულებები გემების

3.3 სხვა (შემდგომი) საერთაშორისო ხელშეკრულებები

კონვენციის შემდეგ მიღებულ საერთაშორისო კონვენციებში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფცია მცირეოდენ განსხვავდება კონვენციის კონცეფციისაგან. დამცავი ღონისძიებების დაინტერესების სფეროდ ცოცხალი ბუნებრივი რესურსები იქცნენ, როგორც ასეთი.⁵⁹ საკვები პროდუქტების ან ბუნებრივი ცოცხალი რესურსების წყაროს სამომავლოდ შენარჩუნების ინტერესი გაუთანაბრდა და გადააჭარბა კიდევ გარემოს, როგორც ერთი მთლიანობის დაცვის (გაბატონებულ) ამოცანას. ვინაიდან ხელშეკრულებები ასახავენ სახელმწიფოების სურვილებს და მისწრაფებებს გარემოს დაცვის სფეროში, 1982 წლის კონვენციის შემდეგ მიღებულ ინსტრუმენტებში თავი იჩინა აღნიშნული კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობების განმარტებაში მომხდარმა ცვლილებებმა.

დღეს სამეცნიერო წრეებში და რაც უფრო მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირთა კოჰორტაში მყარად არის დამკვიდრებული ეკოსისტემური მიდგომის კონცეფცია, რომელმაც ასახვა ჰპოვა „21-ე საუკუნის დღის წესრიგში“. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას შემოსავლის ან ეკონომიკური კეთილდღეობის წყაროს უკვე ერთი რომელიმე სახეობა კი აღარ წარმოადგენს, არამედ მთელი სისტემა, სადაც იქმნება და იზრდება მოცემული ერთი სახეობა ან ინდივიდი. სხვადასხვა სახეობების ურთიერთდამოკიდებულება ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გააზრებული, თუმცა, მან საკმაოდ დიდ როლი ითამაშა საერთაშორისო სამართლის დახვეწაზე ამ მიმართებით.

მარშრუტების განსაზღვრის შესახებ, **Res. A. 572(14)**. ჩვეულებრივ, გვერდის ასავლელი ტერიტორიები სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა, შეიძლება სავალდებულოც კი გახდეს; გარკვეულ ზონებში შეიძლება განსაზღვრული იქნეს ადგილები, სადაც შეუძლებელი იქნება ლუზის ჩაშვება, ვინაიდან ეს საშიშა ან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ზღვის გარემოს (**SOLAS**, ზოგადი დებულებები გემების მარშრუტების განსაზღვრის შესახებ, **Res. A. 572(14)**). ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბუნებრივი გავრცელების არელების და სხვა მგრძობიარე ბენიოსების დასაცავად; გემების სატრანსპორტო მომსახურების სისტემები გემებს აწვდიან ინფორმაციას ადგილობრივი სატრანსპორტო მიმოსვლის და ნაოსნობასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ და თვალყურს ადევნებენ გემების გადაადგილებას (**SOLAS**, სახელმძღვანელო პრინციპები გემების სატრანსპორტო მომსახურებისათვის, **Res. A. 857(20)**). ეს შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იმ გემების დადგენის მიზნით, რომელზეც საშიში ტვირთი იმყოფება, აგრეთვე, მათ მიერ ეკოლოგიურად მგრძობიარე ზონის უსაფრთხო გავლის გასაკონტროლებლად; სავალდებულო ანგარიშგების სისტემები ნაპირზე განთავსებულ შესაბამის ორგანოებს აძლევს გემთან დაკავშირების საშუალებას მისი ტვირთის, დანიშნულების ადგილის და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. **SOLAS**, სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები გემების ანგარიშგების სისტემებისთვის, **Res. MSC. 43(64)**); სავალდებულო სალოცმანო მომსახურება. მგრძობიარე ზონებში, სადაც დაგეგმილი მარშრუტი სანავიგაციო თვალსაზრისით რთული და პოტენციურად საშიშია, გემის კატასტროფის ეკოლოგიური და ეკონომიური მნიშვნელობა გამანადგურებელი იქნებოდა და სადაც არ არსებობს არანაირი სხვა შესაძლო მარშრუტი, გემზე ადგილობრივი გამოცდილი ლოცმანების ყოფნამ შეიძლება შეამციროს უბედური შემთხვევის რისკი; **MARPOL**-ის სპეციალური ზონები ნავთობისთვის (I დანართი), საშიში თხევადი ნივთიერებებისთვის (II დანართი) და ნავისთვის (V დანართი). სახელმწიფომ ან სახელმწიფოთა ჯგუფმა შეიძლება თხოვნით მიმართოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ჩამარხვასთან დაკავშირებით იმაზე უფრო მკაცრი მოთხოვნების დაწესების თაობაზე, ვიდრე საზოგადოდ გამოიყენება ღია ზღვაში. (სახელმძღვანელო პრინციპები სპეციალური ზონების დასახელებისთვის **MARPOL 73/78** შესაბამისად, **MEPC 46**-ის მიერ 2001 წლის აპრილში მიღებული უახლესი შესწორებები, რომლებიც ჯერ არ დაუმტკიცებია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ასამბლეას) **SOX**-ის ემისიის კონტროლის ზონები **MARPOL**-ის VI დანართის მიხედვით (ჯერ არ არის შესული ძალაში). იხ. აგრეთვე **Peef, Particularly Sensitive Sea Areas-A Documentary History**, in: *Gjerde/Freestone (eds.)*, (48-ე სქოლიო), 469 (495).

⁵⁹ შეიძლება ითქვას, რომ ვეშაპების საერთაშორისო კომისიის მიერ გავლილი გზა – მისი, როგორც ვეშაპების შენარჩუნებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის დარსებიდან იმ ორგანიზაციად გარდაქმნამდე, რომლის საქმიანობა შემოიფარგლება ვეშაპებზე ნადირობაზე მორატორიუმის გამოცხადებით – გარკვეულწილად იმ ზოგადი მიმართულების წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც მიზნად დაისახა საერთაშორისო სამართალმა ბუნებრივ რესურსებთან მიმართებით.

3.3.1 კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ

კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ⁶⁰ ეხება სიცოცხლის ყველა ფორმასა და ეკოსისტემას. ამრიგად, იგი მოიცავს არა მხოლოდ გარეულ სახეობებს, არამედ ამ სახეობების (გენეტიკურ) სახეცვლილებებს და იმ ეკოსისტემების მრავალფეროვნებას, სადაც აღნიშნული სახეობები ცხოვრობენ. მისი მიზნები ჩამოყალიბებულია 1-ლ მუხლში:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- მისი კომპონენტების სტაბილური გამოყენება; და
- გენეტიკური რესურსების გამოყენებიდან მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება”.

კონვენციის 56 (1) (a) მუხლის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის საფუძველზე უკანასკნელი გამოიყენება მისი ხელშეკრული მხარეების გეზ-ის ფარგლებში. ევროპული გაერთიანება და წევრი სახელმწიფოები არიან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მონაწილე მხარეები და კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები პირდაპირ ეხება როგორც გაერთიანებას, ისე წევრ სახელმწიფოებს. არის რა აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციას შეუძლია მიუთითოს კონვენციის დებულებების თაობაზე სახელმწიფოების *opinio juris* ცვლილებაზე.⁶¹

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის გამოყენების სფერო ერთმნიშვნელოვნად მოიცავს ზღვის სამყაროს ფართო გაგებით. თუმცა, ძალიან ცოტა არის ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როგორ და რა მიმართებით გამოიყენება დირექტივა ზღვების მიმართ.⁶² ზღვის გარემოსთვის შეიძლება მისაღები იყოს როგორც *in situ*, ისე *ex situ* შენარჩუნება. გადანყვეტილება არც ერთი, ერთ-ერთი ან ორივე ალტერნატივის შესახებ დამოკიდებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომ ინფორმაციასა და რესურსებზე, აგრეთვე, მოქმედების სურვილზე.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მე-4 მუხლის საფუძველზე ხელშეკრული მხარეები აკონტროლებენ მათი მოქალაქეების საქმიანობას ტერიტორიული წყლებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში.⁶³ კონვენციის მე-4 (a) მუხლი ითვალისწინებს ამ ვალდებულებას სივრცული ტერიტორიის მიმართ, ხოლო მე-4 (b) მუხლი – ფიზიკური პირების მიმართ. ვინაიდან მე-4 (a) მუხლი ეხება ზღვის გარემოზე ეროვნულ იურისდიქციას, უნდა არსებობდეს მითითება კონვენციაზე.

გარემოს მართვასთან მიმართებით ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ: „თითოეულმა ხელშეკრულმა მხარემ უნდა [...] შექმნას დაცული ტერიტორიების სისტემა ან დაცული ტერიტორიები, სადაც უნდა განხორციელდეს სპეციალური ზომები ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით“. დაცული ტერიტორიის შექმნის წინაპირობას წარმოადგენს კონსერვაციის სურვილი. მიზანი სახეობათა ბუნებრივ გარემოში

⁶⁰ იხ. UN Convention on Biological Diversity, adopted 5 June 1992, entry into force 29 December 1993, 31 I.L.M. 818; approved by the EC, 25 October 1993, Official Journal 1993 L 309/1; see for status of the CBD: URL: <http://www.biodiv.org/world/parties.asp>, (06.09.2002).

⁶¹ იხ. *de Klemm* (13-ე სკოლი), 423 (440).

⁶² იხ. იქვე *de Klemm*, 454; აგრეთვე *Joyner*, *Biodiversity in the Marine Environment: Resource Implications for the Law of the Sea*, 28 Vand. J. Transnat'l L. 635 (647).

⁶³ ამ კონტექსტში შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფრაზა: „სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ“ ევროგაერთიანების მასშტაბით; თევზჭერასთან მიმართებით წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები ალბათ „ევროპის მოქალაქეებად“ იქნებიან მიჩნეული, ვინაიდან ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ანიჭებს იურისდიქციას ევროგაერთიანების მასშტაბით, მათ მიმართ CFP გამოიყენება. ამ კონტექსტში სხვა საკითხს წარმოადგენს ის, გამოიყენება თუ არა კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაერთიანებული სამეფოს თევზჭერის განსაკუთრებული ზონის მიმართ.

სტატიკა

შენარჩუნება და აღდგენა. კონსერვაციის განმარტებაში არაფერია ნათქვამი ექსპლუატაციაზე. ტერმინი „მდგრადი პოპულაცია“ უფრო გამრავლებისთვის და არა ექსპლუატაციისთვის საჭირო სახეობათა სიმრავლეს გულისხმობს. ამ მიმართებით ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია განსხვავდება საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციისაგან. აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების შექმნა ამ შემთხვევაში არ უკავშირდება სტაბილური გამოყენების მიზანს; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ძირითად საზრუნავს ეკოლოგია წარმოადგენს.

გარდა ამისა, მე-8 მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს ნებისმიერი ისეთი პროცესის ან საქმიანობათა კატეგორიის მონესრიგების ან მართვის ვალდებულებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს დაცულ ტერიტორიებზე. ეს, თუნდაც სუსტი, ვალდებულება ეხება თევზჭერასა და ნაოსნობასაც. მხოლოდ თევზჭერის მონესრიგებამ და მართვამ შეიძლება გამოიწვიოს მისი აღკვეთა დაცულ ტერიტორიებში.

რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებზე იურისდიქციას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მიდგომა საკმაოდ ნათელია: თუ ეროვნული კანონმდებლობის და წესების საფუძველზე იქმნება ზღვის დაცული ტერიტორია, აღნიშნული სახელმწიფოს მოქალაქეებმა უნდა დაიცვან ეს წესები, ხოლო მათი დარღვევა ისჯება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით გაურკვეველი რჩება საკითხი, იძლევა თუ არა კონვენცია დაცული ტერიტორიების შექმნის ნებას, ვინაიდან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის 22 (2) მუხლში ცალსახად არის გაცხადებული, რომ კონვენცია უპირატესი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტია. ამრიგად, მხოლოდ და მხოლოდ კონვენციის 56-ე მუხლის ფარგლებში შეუძლიათ სახელმწიფოებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის საფუძველზე მოქმედება.⁶⁴

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია მოითხოვს დაცული ტერიტორიების შექმნას, ოღონდ მხოლოდ კონვენციის ფარგლებში. ერთი შეხედვით, ეს არ მიუთითებს რაიმე ცვლილებაზე. თუმცა, ვინაიდან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია ზღვის დაცულ ტერიტორიებს განიხილავს, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას, ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარემოს დაცვით ღონისძიებად, რაზეც საუბარია კონვენციის 194 (5) მუხლში. მართლაც, იგი წინააღმდეგობაში არ იქნებოდა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მე-8 (ა) და 22-ე მუხლებთან, თუ მე-8 (ა) მუხლი განხილული იქნებოდა კონვენციის 194 (5) მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებად. შესაბამისად, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ხელშემკვრელი მხარეებისთვის მათ ხელთ არსებული საშუალებების გამოყენების ვალდებულება (კონვენციის ბუნდოვანი ენით), რაოდენ შეზღუდულიც არ უნდა იყოს ისინი.

⁶⁴ ამან შეიძლება გაართულოს მდგომარეობა, ვინაიდან კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ რამოდენიმე წლის წინ იქნა შემუშავებული UNCLOS III-ის შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ეკოლოგიური აქტივობის პიკი იყო. ამიტომ აღნიშნული კონვენციის ზოგიერთი კონცეფცია შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ უპირატესობა უფრო მოგვიანებით მიღებული კონვენციით გათვალისწინებულ შედეგებს მიენიჭება.

3.3.2 რეგიონალური შეთანხმებები

ა) თევზჭერის რეგიონალური ორგანიზაციები

ვინაიდან გლობალური ინსტრუმენტები ითვალისწინებს მხოლოდ სამართლებრივ საფუძველს ან ზოგად მითითებებს, საჭირო ხდება შემდგომი ღონისძიებების გატარება მათი განხორციელების მიზნით. ცოცხალ ბუნებრივ რესურსებთან მიმართებით კონვენციის განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს მეთევზეთა რეგიონალური ორგანიზაციები, რომლებიც დიდი რაოდენობით არის შექმნილი და ჯერ კიდევ იქმნებიან მსოფლიო მასშტაბით. ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ აღსრულების ღონისძიებების საფუძველს, არამედ ადგილს გამოყენებადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლის დასახვეწად, ვინაიდან ისინი გამოხატავენ სახელმწიფოების *opinio juris*. საჭიროა გარკვეული სიფრთხილის დაცვა, ვინაიდან თევზჭერის რეგიონალურმა ორგანიზაციებმა ან სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილმა რეგიონალურმა შეთანხმებებმა⁶⁵ შეიძლება ისე გააფართოვოს მათი წევრების ვალდებულებები და უფლებები, რომ გასცდნენ საერთაშორისო სამართლის ფარგლებს ერთმანეთთან მიმართებით⁶⁶ და შედეგად, შეიძლება არ ასახონ სახელმწიფოების შეხედულება აღნიშნული საკითხის თაობაზე.

თევზჭერის რეგიონალური ორგანიზაციების უმეტესობა თავის ამოცანად ბუნებრივი რესურსების კონსერვაციას და ოპტიმალურ გამოყენებას მიიჩნევს, ვინაიდან ეს ორგანიზაციები ძირითად ყურადღებას რესურსების მართვას უთმობენ, გარემოს დაცვა კი, უკეთეს შემთხვევაში, მეორე ადგილზე გადადის.⁶⁷ შესაბამისად, დაცული ტერიტორიების ცნება, საერთოდ არ არის გათვალისწინებული. თევზჭერის რეგიონალური ორგანიზაციები დახურულ სეზონებს/ტერიტორიებს დროებითი მართვის საშუალებად⁶⁸ მიიჩნევენ და არა გარემოს, როგორც ასეთის, დაცვის ინსტრუმენტად⁶⁹. თევზჭერის რეგიონალურ ორგანიზაციებს დიდი სარგებლობა არც იმ საკითხის გარკვევასთან მიმართებით მოაქვთ, არსებობს თუ არა გარემოს მართვის საშუალების სახით დაცული ტერიტორიების შემოღების შესაძლებლობა ან თუნდაც ვალდებულება; თევზჭერის რეგიონალური ორგანიზაციები არც დახურული ტერიტორიების თევზჭერის მართვის ინსტრუმენტად გამოყენების დამკვიდრების საშუალებას იძლევა.

⁶⁵ მაგალითად „ოსპარ-ის კონვენცია“, კონვენცია ატლანტის ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ, მიღებულია 1992 წლის 22 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1998 წლის 25 მარტს, *Official Journal* 1998 L 104/2, ოსლოსა და პარიზის კონვენციების მემკვიდრე, 16 ხელშემკვერელი მხარე (ერთ-ერთი მათგანია ევროპული კავშირი), იხ., <http://www.ospar.org/eng/html/welcome.html> (14.05.2001).

⁶⁶ კერძოდ, ამ შეთანხმებებმა შეიძლება მოიცვას ღია ზღვის ის ტერიტორიები, რომლებისთვისაც ჩშ III ითვალისწინებს ზოგად ვალდებულებას სახელმწიფოებისთვის ზღვის ცოცხალი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების მიზნით ზომების მიღების ან თანამშრომლობის თაობაზე. მაგრამ სახელმწიფოები, რომლებიც განხორციელებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მათ მოქალაქეებს უზღუდავს ღია ზღვაში თევზჭერის უფლებას კონვენციის 117-ე მუხლის შესაბამისად, ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ მათ ისეთი სახელმწიფოების მოქალაქეებთან მიმართებით, რომლებიც არ თანამშრომლობენ. ეს პრობლემა აღინიშნა კვების პროდუქტების და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის თევზჭერაზე პასუხისმგებელი პირების ქცევის კოდექსში, იხ. 8.1 *Duties of all States* (<http://www.fao.org/fi/agreem/codecond/ficonde.asp#8>, (25.07.2001)).

⁶⁷ იხ. *de Klemm* (12-ე სქოლიო), 447.

⁶⁸ ეს შესაძლებლობა ცალსახად არის მითითებული კონვენციის 62 (4) (b) მუხლში მოცემულ ამომწურავ ჩამონათვალში.

⁶⁹ ამ მიმართებით დროებითი ღონისძიებები საკმარისად არ ითვლება ბუნებრივი გავრცელების არეალის შესახებ დირექტივის მიზნებისათვის და შესაბამისად, მათ არ ძალუძთ იმ კონფლიქტის თავიდან აცილება, რომელზეც საუბარი იყო წინამდებარე ანალიზის დასაწყისშივე.

ბ) „ბარსელონის კონვენცია“

ხმელთაშუა ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ კონვენცია („ბარსელონის კონვენცია“)⁷⁰ თავისთავად არ წარმოადგენს სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს. იგი აყალიბებს საერთაშორისო მიდგომას ზღვის გარემოს დაცვის მოწესრიგების მიმართ. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ხელშემკვერელი მხარეებისათვის ცნობილია „მათი მოვალეობა, შეინარჩუნონ საერთო მემკვიდრეობა დღევანდელი და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ“. ბარსელონის კონვენცია მის ხელშემკვერელ მხარეებს ავალდებულებს მიიღონ „ყველა შესაბამისი ზომა ხმელთაშუა ზღვის დაბინძურების აღკვეთის და შემცირების მიზნით, რაც გამოწვეულია გემებიდან და საჰაერო ხომალდებიდან ნაგვის ზღვაში ჩაშვებით“. ეს თავისთავად არც მხარს უჭერს ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნას და არც მისი წინააღმდეგაა, ვინაიდან სახელმწიფოებს თავიანთი ვალდებულებების შესრულება შეუძლიათ როგორც ზღვის დაცული ტერიტორიების, ისე სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

ბარსელონის კონვენციის^{71,72} საფუძველზე ხელშემკვერელმა მხარეებმა მიიღეს „ოქმი ხმელთაშუა ზღვაში განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“⁷³.

⁷⁰ მიღებულია ევროპული გაერთიანების საბჭოს მიერ 1977 წლის 25 ივლისის 77/585/EEC გადაწყვეტილებით, ძალაში შევიდა 1978 წლის 15 აპრილს, Official Journal 1977 L 240/1-2, 2000 წლის 2 ოქტომბრისათვის მისი ნევრები იყვნენ ალბანეთი, ალჟირი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ეგვიპტე, ესპანეთი, თურქეთი, ისრაელი, იტალია, კვიპროსი, ლიბანი, ლიბია, მალტა, მაროკო, მონაკო, საბერძნეთი, საფრანგეთი, სირია, სლოვენია, ტუნისი, ხორვატია და ევროპული გაერთიანება. კონვენცია წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის ეკოლოგიური პროგრამის სამოქმედო გეგმის (14 I.L.M. 475 (1975)) შედეგს გაერო-ს გარემოსდაცვითი პროგრამის რეგიონალური ზღვების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაიწყო 1974 წელს ხმელეთზე განთავსებული წყაროებიდან ზღვის დაბინძურების შესახებ პარიზის 1974 წლის კონვენციის (13 I.L.M. 352 (1974)) შეთანხმების შემდეგ, გემებიდან ზღვის დაბინძურების პრობლემები საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის განსაკუთრებულ პრეროგატივად იქცა, მაშინ როდესაც ზღვის დაბინძურება ხმელეთზე განთავსებული, ან არა-გემებიდან მომდინარე წყაროებიდან გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის კომპეტენციის ფარგლებში მოექცა. სამუშაოს ასეთი დანაწილებით გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ საფუძველი ჩაუყარა რეგიონალური ზღვების პროგრამას და შეთანხმა რიგი ხელშეკრულებები. ჟენევის, ნაირობის, კინგსტონის და პაიბას ოქმები შეესაბამება ბარსელონის ოქმს და ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნას ითვალისწინებენ მსგავსი პირობებით. იხ. <http://www.unepmap.org/> (31.05.2001).

⁷¹ ბარსელონის კონვენცია წარმოადგენს ისეთი მიდგომის მაგალიტს, რომელიც შედგება ჩარჩო ხელშეკრულების შექმნისა და შემდგომი დახვეწისაგან განმარტებული ხელშეკრულებებისა და ოქმების მეშვეობით. მისი ძირითადი ამოცანა ხელშემკვერელი მხარეებისთვის ვარიეტის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა: როდესაც ზოგადი მიზნების მისაღწევად რამოდენიმე გზა არსებობს, სახელმწიფოების სხვადასხვა რაოდენობა დამატებითი შეთანხმებების მეშვეობით შეიძლება შეთანხმდეს უფრო მკაცრი ზომების გამოყენებაზე. ამ მიდგომის ანალიზისათვის იხ. Scott et al., *Success and Failure Components of Global Environmental Cooperation: The Making of International Environmental Law*, 2 (1995) ILSA J. Int'l & Comp. L. 23(42).

⁷² Protocol for the Prevention of Pollution of the Mediterranean Sea by Dumping from Ships and Aircraft, 16 February 1976, 15 I.L.M. 300 (1976), entry into force 12 February 1978, amended 9 - 10 June 1995, renamed Protocol for the Prevention and Elimination of Pollution of the Mediterranean Sea by Dumping from Ships and Aircraft or Incineration at Sea; Protocol Concerning Cooperation in Combatting Pollution of the Mediterranean Sea by Oil and Other Harmful Substances in Cases of Emergency, 16 February 1976, 15 I.L.M. 306 (1976), entry into force 12 February 1978; Protocol for the Protection of the Mediterranean Sea Against Pollution from Land-Based Sources, 17 May 1980, 19 I.L.M. 869 (1980), entry into force 17 June 1983, amended 6-7 March 1996, renamed Protocol for the Protection of the Mediterranean Sea against Pollution from Land-Based Sources and Activities; Protocol Concerning Mediterranean Specially Protected Areas, 3 April 1982, entry into force (also for EC) 23 March 1986, amended 9 - 10 June 1995 (Annexes adopted 24 November 1996), renamed Protocol Concerning Specially Protected Areas and Biological Diversity in the Mediterranean, entry into force 12 Nov. 1999; Protocol for the Protection of the Mediterranean Sea against Pollution from Land-based Sources and Activities, entry into force 17 June 1983, this Protocol makes some of the twenty-year-old commitments of the 1976 Barcelona Convention binding by requiring signatories to adopt appropriate regulations to stop polluting the Mediterranean Sea and rivers that flow into the sea; Protocol for the Protection of the Mediterranean Sea against Pollution Resulting from Exploration and Exploitation of the Continental Shelf and the Seabed and its Subsoil, adopted 14 October 1994; and Protocol on the Prevention of Pollution of the Mediterranean Sea by Transboundary Movements of Hazardous Wastes and their Disposal, adopted 1 October 1996. Due to the framework convention construction parties to the Convention may not necessarily be parties to the Protocols.

⁷³ ხელმოწერილია ბარსელონაში 1995 წლის 10 ივნისს, მიღებულია საბჭოს მიერ 1999 წლის 22 ოქტომბერს; Official Journal L 322, 14.12.1999, 2; ტექსტი იხ. Official Journal 1999 L 322/3-17.

სტატია 20

ეს ოქმი მოქმედებს ბარსელონის კონვენციის მოქმედების გეოგრაფიულ არეალში⁷⁴ და ავსებს მას ხელშემკვერელი მხარეების ვალდებულებით „შექმნან სპეციალურად დაცული ტერიტორიები ზღვაში და სანაპირო ზოლში, რომელიც მათ სუვერენულ იურისდიქციას დაემორჩილება“.⁷⁵ ამ ოქმის საფუძველზე ევროგაერთიანებას და მონაწილე წევრ სახელმწიფოებს⁷⁶ ევალება განსაზღვრონ დაცული ტერიტორიები ხმელთაშუა ზღვაში.

ოქმის მე-6 მუხლში მოცემულია რამოდენიმე დეტალი დაცული ტერიტორიების შესახებ. კერძოდ, გათვალისწინებულია შემდეგი:

„მხარეებმა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად და თითოეული განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიის მახასიათებლების გათვალისწინებით უნდა გაატარონ საჭირო დამცავი ღონისძიებები, კერძოდ: [...]

(c) გემების გავლის და შეჩერების ან ლუზაზე დგომის მონესრიგება; [...]

(g) თევზჭერის, ნადირობის, ცხოველების დაჭერის ან მცენარეების შეგროვების ან მათი განადგურების მონესრიგება ან აკრძალვა, აგრეთვე იმ ცხოველებით, ცხოველების ნაწილებით, მცენარეებით, მცენარეების ნაწილებით ვაჭრობა, რომლებიც მოიპოვება განსაკუთრებულად დაცულ ტერიტორიების ფარგლებში.

(h) ნებისმიერი იმ სხვა საქმიანობის ან ქმედების მონესრიგება და, თუ საჭიროა, აკრძალვა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ან გააღიზიანოს სახეობები, ან საფრთხე შეუქმნას ეკოსისტემების ან სახეობების კონსერვაციის მდგომარეობას, ან შეიძლება ხელყოს განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიის ეროვნული და კულტურული მახასიათებლები;

(i) ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც ეკოლოგიური და ბიოლოგიური პროცესების და ლანდშაფტის დაცვას ისახავს მიზნად“.

დაცული ტერიტორიების აღნიშნული კონცეფცია საკმაოდ დეტალურად არის განხილული. აღსანიშნავია მინიმუმ ორი ასპექტი: პირველი, ვინაიდან ოქმი დაცულ ტერიტორიებს გარემოს დაცვის საშუალებად მიიჩნევს, იგი სცილდება კონვენციის კონცეფციას; და მეორე, იგი მოითხოვს ნაოსნობის მონესრიგებას კონვენციის მოქმედების ფარგლებს მიღმა. საერთაშორისო სამართალზე მითითება, თანდართული ნუსხის ჩრილში, უბრალო რევერანსს უფრო ნააგავს, ვინაიდან ბარსელონის კონვენცია და მისი ოქმები თავად წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნაწილს. კონვენციაზე პირდაპირი მითითების გარეშე, წარმოდგენილია მათი შემდგენლების მოსაზრება, რომ შესაბამისი კანონი უნდა დაემორჩილოს კონვენციის დებულებებს.

კონვენციის ჩრილში ნაოსნობის რეგულირება შელახავს ნაოსნობის თავისუფლებას/მშვიდობიანი გავლის უფლებას, თუ იგი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული საერთაშორისო წესების და სტანდარტების ან გენერალური დიპლომატიური კონფერენციის შესაბამისად არ იქნება შემუშავებული. ტერიტორიულ ზღვაშიც კი საზღვაო მარშრუტების დადგენისას დაცული უნდა იქნეს აღნიშნული სტანდარტები, ვინაიდან შეიძლება შეილახოს მშვიდობიანი გავლის უფლება. და მაინც, ოქმის მოქმედების ფარგლები საკმაოდ შეზღუდულია იმისთვის, რომ მიუთითოს საერთაშორისო სტანდარტებსა და წესებში ამ მიმართებით

⁷⁴ რომელიც ბარსელონის კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, წარმოადგენს საკუთრივ ხმელთაშუა ზღვას მისი ყურეებით და ზღვებით, რომლის სამხრეთ საზღვარი ემთხვევა სპარტელის კონცხის შუქურაზე გამავალ მერიდიანს გიბრალტარის სრუტის შესასვლელთან, ხოლო აღმოსავლეთით დარდანელის სრუტის სამხრეთ საზღვარს მემეტიკის და კუმკეილის შუქურებს შორის.”

⁷⁵ ოქმის მე-5 (1) მუხლი (იხ. 73-ე სქოლიო).

⁷⁶ ხელმოწერები არიან ევროგაერთიანება და ხმელთაშუა ზღვის მოსაზღვრე წევრი სახელმწიფოები. ოქმი რატიფიცირებულია თავად ევროგაერთიანების და იტალიისა და ესპანეთის მიერ 2000 წლის თებერვლის მონაცემებით საფრანგეთს და საბერძნეთს ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ მისი რატიფიკაცია.

სტატიკა

განხორციელებულ რაიმე ცვლილებაზე.⁷⁷ ნაოსნობის რეგულირება შეიძლება ახალი სახით წარმოჩინდეს. ევროპული კავშირის კონტექსტში ბევრი არაფერი შეიძლება ითქვას ნაოსნობის პირობებზე, ვინაიდან გაერთიანებამ, რომელსაც განსაკუთრებული უფლებამოსილება გააჩნია ტრანსპორტთან მიმართებით,⁷⁸ არ შეუშუალებია ნაოსნობასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მე-2 (2) მუხლში⁷⁹ მოცემულია ზოგადი ოფიციალური უარყოფა საზღვაო სამართალთან მიმართებით. ერთადერთ მითითებას თევზჭერის უფლებაზე შეიცავს დასკვნა: „საზღვაო სამართალთან დაკავშირებული... უფლებები“. ამ მითითების დამაჯერებლობას ძირს უთხრის უფლებების შემდეგ მოცემული ჩამონათვალი და პირდაპირი მითითება „სანაპირო სახელმწიფოს, გემის დროშის სახელმწიფოს და პორტის სახელმწიფოს იურისდიქციაზე“. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სხვა უფლებებს შორის არ არის მითითებული ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული სუვერენული უფლებები, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭებათ, როგორც ნაოსნობის თავისუფლებას და მშვიდობიანი გავლის უფლებას. ეს უცნაურად ჟღერს, ვინაიდან სანაპირო სახელმწიფოს ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული უფლებები ნამყვან როლს თამაშობდა კონვენციის კონტექსტში. ამ კონტექსტში უმოქმედობა მნიშვნელობის შეფასებაში ცვლილებად აღიქმებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ (73-ე სქოლიო) ოქმი არ არის რატიფიცირებული გაერთიანების ყველა სახელმწიფოს მიერ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავად გაერთიანებას იგი რატიფიცირებული აქვს. ვინაიდან ოქმი მოქმედებს მხოლოდ მე-2 მუხლით განსაზღვრული გეოგრაფიული არეალის ფარგლებში, მან ევროგაერთიანება შეიძლება მოსთხოვოს მისი დებულებების დაცვა სტრატეგიული პოლიტიკის, მაგ., თევზჭერის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრისას. გარემოს დაცვის მიზნით თევზჭერის მონსერიგების ან მისი აკრძალვის ცალსახად გაცხადება წარმოადგენს იმ ფაქტის სამართლებრივ არგუმენტს, რომ ეკოლოგიურმა პრობლემებმა შეიძლება გადანონოს თევზჭერასთან დაკავშირებული ინტერესები. ოქმის რატიფიკაციით ევროგაერთიანებამ (და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა) გამოთქვეს მოსაზრება, რომ თევზჭერა შეიძლება აიკრძალოს (ეკოლოგიური) პრობლემების, მაგრამ არა თევზების მიზნობრივი პოპულაციის განადგურების გამო.

გ) ოსპარი

კიდევ ერთ ევროპულ რეგიონალურ შეთანხმებას წარმოადგენს ოსპარი-ს კონვენცია, რომელმაც შეაჯერა და შეცვალა ოსლოსა და პარიზის კონვენციები.⁸⁰ 1998 წელს მიღებულ იქნა ოსპარი-ის კონვენციის V დანართი,⁸¹ რომლის თანახმადაც ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები მოექცა ოსპარი-ის ფარგლებში.

⁷⁷ და მაინც, PSSA-ს შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების განახლებული ტექსტის კონტექსტში, იხ. 54-ე სქოლიო, ნაოსნობის მონსერიგება განსხვავებულ კონტექსტში შეიძლება წარმოჩინდეს.

⁷⁸ იხ. ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 70-ე და 71-ე მუხლები.

⁷⁹ ამ ოქმის არც ერთმა დებულებამ არ უნდა შელახოს არც ერთი სახელმწიფოს საზღვაო სამართალთან დაკავშირებული უფლებები, არსებული თუ სამომავლო მოთხოვნები ან სამართლებრივი მოსაზრებები, კერძოდ, საზღვაო ზონების ხასიათი და ფარგლები, სახელმწიფოებს შორის საზღვაო ზონების დელიმიტაცია..., ღია ზღვაში ნაოსნობის თავისუფლება, საერთაშორისო ნაოსნობისთვის გამოყენებულ სრუტეებში გავლის უფლება და მოდალობები, ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის უფლება, აგრეთვე, სანაპირო სახელმწიფოს, გემის დროშის სახელმწიფოს და პორტის სახელმწიფოს იურისდიქციის ხასიათი და ფარგლები.

⁸⁰ იხ. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ატლანტიკის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ კონვენციის 31 (1) მუხლი, (64-ე სქოლიო), ხელშემკვრელი მხარეები: ბელგია, დანია, ესპანეთი, ირლანდია, ისლანდია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ნორვეგია, პორტუგალია, ფინეთი, შვედეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ლუქსემბურგი, შვეიცარია და ევროპული კავშირი. მიღებულია საბჭოს 1997 წლის 7 ოქტომბრის 98/249/EC გადაწყვეტილებით ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ატლანტიკის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ კონვენციის დადების შესახებ, Official Journal 1998 L 104/1; www.ospar.org (06.09.2002).

⁸¹ გაერთიანებამ აღნიშნული დანართის რატიფიკაცია 2000 წლის 8 მაისს მოახდინა, Official Journal 2000 L 118/44; 2001 წლის აგვისტოსათვის მისი რატიფიკაცია მოახდინეს შემდეგმა წევრმა სახელმწიფოებმა: გაერთიანებული სამეფო, დანია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ფინეთი, შვედეთი და ჰოლანდია; დანართის ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ <http://www.ospar.org/eng/html/convention/ospar%5Fconv10.htm> (06.09.2002).

V დანართის მე-2 მუხლის საფუძველზე ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ შემდეგი ვალდებულება: „(ა) განახორციელონ საჭირო ღონისძიებები ზღვაში ეკოსისტემების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის და შენარჩუნების მიზნით და სადაც შესაძლებელია აღადგინონ ის საზღვაო ტერიტორიები, რომელთაც მიაღწიათ ზიანი“. განსაკუთრებით ეს ბოლო ნაწილი იძლევა ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნის დამაჯერებელ შესაძლებლობას. „სტრატეგიაში“⁸² საუბარია „ზღვაში ეკოსისტემების და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის და შენარჩუნების და... საზღვაო ტერიტორიების აღდგენის“ შესახებ. „განსაკუთრებული ტერიტორიების და ადგილების“ განსაზღვრის და მათი მართვის პრინციპების შემუშავება სამომავლო პროგრამებს და ღონისძიებებს ეკისრებათ. სტრატეგიის შესაბამისად ოსპარ-ის კომისია კვლავაც გააგრძელებს ეკოსისტემასა და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე ადამიანის საქმიანობის ზეგავლენის შეფასებას, აგრეთვე იმ საქმიანობებისა, რომელსაც არ მოიცავს ოსპარ-ის კონვენცია, მაგალითად, თევზჭერის.

პრეამბულაში ოსპარ-ის კონვენცია ცდილობს თავი აარიდოს ყველანაირ ჩარევას თევზჭერის მართვაში „აღიარებს რა, რომ თევზის სარეწების მართვასთან დაკავშირებული საკითხებს სათანადო დონეზეა მონესრიგებული საერთაშორისო და რეგიონალური შეთანხმებებით, რომლებიც კონკრეტულად ამ საკითხებს ეძღვნება“.⁸³ ტრადიციულად, თევზის სარეწების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოიცავს რენვის ქვოტებს, ე.ი. ეროვნულ და საერთაშორისო ქვოტებს, არარეგულარული რენვის ზღვრულ ოდენობებს, თევზის მინიმალურ ზომებს; განსაზღვრავს ტექნიკურ შეზღუდვებს სარეწი იარაღებისთვის, ე.ი. ბადეების მინიმალურ ზომას და ტროსებთან, ასევე გემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ე.ი. მაქსიმალურ ტექნიკურ სტანდარტებს და ზღვრულ მოცულობებს; ადგენს, აგრეთვე ვადებთან დაკავშირებული შეზღუდვებს, ე.ი. დახურულ სათევზაო სეზონებს და სათევზაო დღეების შეზღუდულ რაოდენობას.⁸⁴ ვინაიდან თევზის რენვის მართვა გულისხმობს ტერიტორიების ჩაკეტვასაც, იგულისხმება, რომ ოსპარ-ის კონვენცია არ იძლევა ზღვის

⁸² იხ. OSPAR Strategy on the Protection and Conservation of the Ecosystems and Biological Diversity of the Maritime Area (Ref. No. 1998-19), Summary Record OSPAR 98/14/1-E, Annex 37, რომელიც მიზნად ისახავდა კომისიის სამომავლო საქმიანობის წარმართვას ზღვის ეკოსისტემისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით.

⁸³ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ შეთანხმებებში გარკვევით არ არის ნათქვამი, თუ მართვის კონკრეტულად რომელი ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული; ისინი, როგორც ჩანს, იძლევიან ყველა იმ ღონისძიების გატარების საშუალებას, რომელიც მისაღებია მიზნის მისაღწევად: იხ., ჩრდილო-დასავლეთ ატლანტიკის თევზჭერის ზონებში სამომავლო მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ კონვენციის 11 (2) მუხლი: კომისიამ შეიძლება მიიღოს წინადადებები ხელშემკვრელი მხარეების ერთობლივი მოქმედებების თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავს რეგულირებული ტერიტორიის თევზის რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. ასეთი წინადადებების განხილვისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია ან სამეცნიერო საბჭოს კონსულტაცია.

კონვენციის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.nafo.ca/about/convention.htm> (02.06.2001).

⁸⁴ იხ. ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკის თევზჭერის ზონებში სამომავლო მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ კონვენციის მე-7 მუხლი:

“მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებისას კომისიამ, *inter alia*, შეიძლება განიხილოს შემდეგი დანიშნულების ღონისძიებების გატარება:

- (a) სათევზაო მოწყობილობების და დანადგარების რეგულირება, სათევზაო ბადეების ნახვრეტების ზომის ჩათვლით,
- (b) იმ თევზების ზღვრული ზომების რეგულირება, რომლებიც შეიძლება დატოვებული იქნეს გემებზე, გადატანილ იქნეს ხმელეთზე, გამოიფინოს ან შეთავაზებულ იქნეს გასაყიდად,
- (c) დახურული სეზონების და დახურული ტერიტორიების შემოღება,
- (d) თევზების რესურსების გაუმჯობესება და გაზრდა, რამაც შეიძლება მოიცვას ხელოვნური გამრავლება, ორგანიზმების ტრანსპლანტაცია და ჭიჭყინების გასამრავლებლად გაშვება,
- (e) დასაჭერი თევზის საერთო დასაშვები ოდენობის დადგენა და ამ ოდენობის განაწილება ხელმომწერ მხარეებს შორის,
- (f) დასაჭერი თევზის რაოდენობის რეგულირება და მისი განაწილება ხელმომწერ მხარეებს შორის”.

სტატიკა

დაცული ტერიტორიების შექმნის ნებას თევზის რენვასთან დაკავშირებულ საქმიანობებთან მიმართებით,⁸⁵ ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მე-4 (1) მუხლის დარღვევას. ამ მოსაზრების მხარდაჭერა თევზის რენვასთან მიმართებით მოცემულია V დანართის მე-4 (1) მუხლში, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს გამონაკლისს: „ამ დანართის საფუძველზე დაუშვებელია ყოველგვარი ღონისძიების ან პროგრამის შემუშავება თევზის სარეწების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით“.

მაგრამ ეს დებულება სავალდებულო წესით როდი აღკვეთავს დაცულ ზონებთან მიმართებით განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობას, ვინაიდან მე-4 (1) მუხლის მეორე წინადადებაში ნათქვამია, რომ ოსპარ-ის კომისიას შეუძლია უფლებამოსილ ორგანოებს მიმართოს წინადადებით თევზის რენვასთან დაკავშირებულ ნებისმიერი საქმიანობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, მთლიანად ოსპარ-ის კომისიის წევრებზე და მის შეხედულებებსა და დარწმუნების უნარზეა დამოკიდებული, შეიძლება თუ არა განხორციელდეს ასეთი სახის ღონისძიებები.

არაფერია ნათქვამი ნაოსნობის ან გემების მიმოსვლის მონესრიგების თაობაზე. კონვენცია მისი მოქმედების სფეროდან გამორიცხავს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც შეესაბამება ჩამარხვის შესახებ ლონდონის კონვენციას⁸⁶ (მუხლი 1 (g) (i)) ან ნარჩენი პროდუქტების შესახებ მიღებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს. სტრატეგიაში ჩამოთვლილია რიგი საქმიანობებისა, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით არის დაკავშირებული ნაოსნობასთან,⁸⁷ მაგრამ ნაოსნობა საერთოდ არ არის ნახსენები.

3.4 დასკვნა

მართალია, საერთაშორისო სამართალში არაფერია ნათქვამი (ზღვის) დაცული ტერიტორიების, როგორც გარემოს დაცვის ან შენარჩუნების ან თევზის სარეწების მართვის ინსტრუმენტის შესახებ, მაგრამ არც საპირისპირო მოსაზრების არანაირი კვალი არ შეინიშნება. საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი მოქმედების საკმარის თავისუფლებას უტოვებს სახელმწიფოებს საერთაშორისო ინსტრუმენტების მიზნების დაცული ტერიტორიის სასარგებლოდ განმარტებისთვის.

რაც შეეხება კონვენციას, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს არანაირი სპეციალური საფუძველი (ეკოლოგიური) დაცვითი ტერიტორიების შექმნისათვის. კონვენციის XII ნაწილი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს იმ ინდივიდუალურ ღონისძიებებთან მიმართებით, რომლებიც ზღვის ეკოლოგიის დაცვას ისახავენ მიზნად. მაგრამ ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც გეზ-ის ფარგლებში

⁸⁵ იმდენად, რამდენადაც სამოყვარულო თევზჭერა არ შედის თევზჭერის შესახებ შეთანხმებების/ორგანიზაციების მოქმედების სფეროში, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი არ არის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კონტექსტში.

⁸⁶ Convention for the Prevention of Pollution from Ships (MARPOL), signed in London on 2 November, 1973, 12 I.L.M. 1319, as amended by the Protocol of 17 February, 1978, 17. I.L.M 546.

⁸⁷ კერძოდ, ფსკერის გაღრმავება სანაოსნო მიზნებისათვის, მაგრამ ამასთანავე, უცხო ან გენეტიკურად მოდიფიცირებული სახეობების შეყვანა, იხ., სახეობების და ბუნებრივი გავრცელების არელების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც საჭიროებენ დაცვას, Summary Report UMPACT 1999/15/1, 6. (როგორც № 81), რაც კომისიის სამომავლო საქმიანობის ზღვის ეკოსისტემისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით წარმართვას ისახავდა მიზნად. ოსპარ-ი ითვალისწინებს “ადამიანის საქმიანობათა ჩამონათვალს: ქვიშისა და ღორღის ამოღება; ფსკერის გაღრმავება სანავიგაციო მიზნებისათვის; ნავთობის, გაზის და მყარი მინერალების დაზვერვა; ხელოვნური კუნძულების, ხელოვნური რიფების, ნაგებობებისა და დანადგარების მშენებლობა ან ჩადგმა; კაბელების და მილსადენების ჩადება; უცხო და გენეტიკურად სახეშეცვლილი სახეობების შეყვანა; მინის მელიორაცია; ტურიზმი და დასვენება. მიუხედავად იმისა, რომ თევზჭერა ცალსახად არ არის ნახსენები, აშკარაა, რომ თევზჭერის ზოგიერთმა მეთოდმა შეიძლება ისეთივე ზიანი მიაყენოს გარემოს, როგორც ფსკერის გაღრმავებამ ან ქვიშისა და ღორღის ამოღებამ. იხ. Scovazzi, Marine Specially Protected Areas, 1999, 26 f.

სტატია 30

დაცული ტერიტორიების შექმნის საწინააღმდეგო არგუმენტი. ის ფაქტი, რომ 194 (3) მუხლით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების არასრული ჩამონათვალი, ძიების და დახვეწის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ პროცესზე მეტყველებს: არ არსებობს არანაირი პირდაპირი მითითება დაცული ტერიტორიების საწინააღმდეგო არგუმენტზე. 211 (6) მუხლით ასევე ცალსახად არის გათვალისწინებული სპეციალური ზონების შექმნა, რომლებიც შეიძლება გარემოს დაცვის მიზნით იყოს გამოყენებული. რაოდენ მოუქნელიც არ უნდა იყოს 211-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, მას ნამდვილად გააჩნია მომავალში დახვეწის პოტენციალი. ევროპული კავშირის ფარგლებში კი წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ ეკლიანი გზის გავლა მათი ვალდებულებების შესასრულებლად ევროპულ კონტექსტში. მაგრამ უპასუხოდ რჩება კითხვა, შეიძლება თუ არა რეალური ღონისძიება კანონიერად ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. ამკარაა, რომ სანაპირო სახელმწიფოს შემზღვეველმა ღონისძიებებმა შეიძლება სხვადასხვა გზით შელახოს ნაოსნობის თავისუფლება. ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია თავისუფლების შეზღუდვის მასშტაბებზე და არა იმაზე, რომ ღონისძიება, როგორც ასეთი, წარმოადგენს შეზღუდვას, ვინაიდან კონვენციით ცალსახად არის გათვალისწინებული შეზღუდვები.

თევზჭერასთან მიმართებით სახელმწიფოებს საკუთარი სუვერენული უფლებების საფუძველზე შეუძლია განსაზღვრონ დაცული ტერიტორიები, სადაც აკრძალული იქნება თევზჭერა;⁸⁸ რაც შეეხება ნაოსნობას, უნდა გავაცნობიეროთ, რომ კონვენცია არ ანიჭებს არანაირ აბსოლუტურ უფლებას, ყოველთვის არსებობს შეზღუდვები სხვა სახელმწიფოების ან სანაპირო სახელმწიფოების უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებით. ეს განსაკუთრებით ეხება ღია ზღვების თავისუფლებებს გეზ-ის ფარგლებში.

ვინაიდან საერთაშორისო სამართალი მუდმივად განვითარებადი ორგანიზმია, კონვენციის დებულებების განმარტება შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. გეზ-ის იდეა ჯერ კიდევ ოცდაათზე მეტი წლის წინ ჩაისახა. კონვენციის მიღების შემდგომ უზარმაზარი წინსვლა შეინიშნება (სამეცნიერო) ინფორმაციასა და ეკოლოგიურ პრობლემებთან მიმართებით. ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესებამ მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში ჰპოვა ასახვა და შეიძლება გააფართოვოს, აგრეთვე, დაბინძურების და მომავალში გარემოს დაცვის მართვის ცნებები. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციაში მოცემულია დაბინძურების განსხვავებული განმარტება. აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა განახორციელონ საჭირო ზომები ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, მათ შორის, უნდა განსაზღვრონ დაცული ტერიტორიები. საჭირო არ არის, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნებისთვის საფრთხის შექმნის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს ერთი და იგივე საშუალებები, ვინაიდან ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია ყოველ შემთხვევაში მისი ინდივიდუალური შესაბამისობის და მდგრადობის კუთხით განიხილავს. და მაინც, მოგვიანებით მიღებულ ისეთ ინსტრუმენტებში, როგორცაა ბარსელონის ოქმი და UNEP-ის რეგიონალური ზღვების პროგრამის ფარგლებში მიღებული მისი თანამოძმენი, ნათქვამია, რომ ეს ზოგადი ვალდებულება სულ უფრო გარკვეულ და გამოკვეთილ ფორმებს იქნეს.

⁸⁸ იხ. *Lagoni* (55-ე სქოლიო), 125.